

ქუთაისის უნივერსიტეტი

აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო
პროგრამების კატალოგი

ქუთაისი 2018

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია-----	3
2. დოქტორანტურის პროგრამა-----	4
2.1 ეკონომიკა-----	4
3. მაგისტრატურის პროგრამები-----	12
3.1 საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი-----	12
3.2 ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე-----	19
4. ბაკალავრიატის პროგრამები-----	26
4.1 ბიზნესის ადმინისტრირება-----	26
4.2 ეკონომიკა-----	35
4.3 ტურიზმის მენეჯმენტი-----	43
5. საგანთა წინაპირობების მატრიცა-----	50
6. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები-----	54
6.1 სტუდენტის უფლებები-----	54
6.2 სტუდენტის ვალდებულებები-----	55
7. სასწავლო და სალექციო დროის განაწილება-----	61
8. შეფასების სისტემა-----	63
9. საკონტაქტო ინფორმაცია-----	67

1. ზოგადი ინფორმაცია

ქუთაისის უნივერსიტეტი არის იმერეთის რეგიონში თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციაზე ფოკუსირებული და მუდმივ განახლებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

უნივერსიტეტი დაფუძნდა 1992 წელს, როგორც ახლადლიცენზირებული კერძო უმაღლესი სასწავლებელი ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სტატუსით.

2005 და 2006 წლებში უნივერსიტეტმა ორჯერ წარმატებით გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაცია. 2006 – 2007 სასწავლო წლიდან, მატერიალური და აკადემიური რესურსების ოპტიმალური და მიზანმიმართული გამოყენების მიზნით, უნივერსიტეტმა პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა კადრების მომზადება მხოლოდ ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით.

2010 წლის 17 მარტიდან უნივერსიტეტს შეეცვალა სახელი და ეწოდა ქუთაისის უნივერსიტეტი.

ქუთაისის უნივერსიტეტის მისიაა:

კეთილსინდისიერი და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თაობების აღზრდა მათი უნიკალური ინდივიდუალური თავისებურებების აღიარებითა და დაფასებით.

აცნობიერებს რა თავის მისიას, უნივერსიტეტი ეძებს ახალ, პროგრესულ გზებსა და მეთოდებს, რათა მზად შეხვდეს თანამედროვე გამოწვევებს, არ ჩამორჩეს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებს, იყოს შესაბამისობაში ბოლონის პროცესის მოთხოვნებთან და საკუთარი სტრატეგიის ფორმირების პროცესში ითვალისწინებდეს მსოფლიო ტენდენციებს.

ამჟამად უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის აკადემიურ პროგრამებს: ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორატურის პროგრამებს.

2. დოქტორანტურის პროგრამა

2.1 დოქტორანტურის პროგრამა ეკონომიკაში

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **ეკონომიკა**

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **ეკონომიკის დოქტორი**

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი

კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი

სულ - 180 კრედიტი

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 3 აკადემიური წელი. (დასაშვები ხანგრძლივობაა 6 აკადემიური წელი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვებისათვის აუცილებელია მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ეკონომიკაში/ბიზნესის ადმინისტრირებაში. სხვა სპეციალობის პრეტენდენტებისათვის სავალდებულოა მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი და არანაკლებ 2 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება ეკონომიკის/ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტებს, რომელთაც ექნებათ სამეცნიერო პუბლიკაციები ეკონომიკის ან ბიზნესის თემატიკაზე, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების და ფორუმების მონაწილეებს (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი და შრომების კრებული სხვა საბუთებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი); ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე;

ამასთან, კონკრეტული პირობები და პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია “შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების ინსტრუქციის“ (რექტორის 12.12.2017 №579 ბრძანება) და „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოს“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 09.12.2017) მოთხოვნათა შესაბამისად (იხ. www.unik.edu.ge)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

წარმოდგენილი პროგრამის შემუშავება განპირობებულია საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგომი ისეთი აქტუალური პრობლემებით, როგორცაა: მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ფისკალური სისტემის ეფექტიანობის ამაღლება, ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესში მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, საქართველოში ჯერ კიდევ ფორმირებაში მყოფი მაკროეკონომიკური და რეგიონული სკოლების არსებობა, ამ სფეროში საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან სუსტი კონტაქტები და სხვა.

დოქტორანტურა ითვალისწინებს ეკონომიკური სფეროს კვლევას პროფესიულ დონეზე. დოქტორანტი უნდა ახდენდეს ახალი და ორიგინალური ცოდნის დემონსტრირებას.

სადოქტორო პროგრამის მიზანია არაიდეოლოგიზირებული მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის, რომელიც შეძლებს ისეთ პრობლემებში ჩართვასა და მათ გადაჭრას, როგორცაა:

- მაკროეკონომიკური და რეგიონული პოლიტიკის შემუშავება, შესაბამისი პრობლემების მოსაგვარებლად ახალი მოდელების შემუშავებაში მონაწილეობა;
- პოლიტიკური და სამეურნეო მოვლენების გამოვლენა და პროგნოზირება;
- სოციალურ-ეკონომიკურ სისტემასთან და ინსტიტუტებთან, ეროვნულ და რეგიონულ ეკონომიკებთან დაკავშირებული ფაქტების, პროცესებისა და ტენდენციების ღრმა ანალიზი ისტორიული რეტროსპექტივის გათვალისწინებით;
- მიკროდონეზე ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციონირების დეტალურ ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;
- სოციალურ-ეკონომიკური სფეროსათვის დამახასიათებელი ფაქტების, ფორმირების, ევოლუციის და ტრანსფორმაციის ძირითადი პრობლემატიკის გაშუქება;
- ფისკალური დეცენტრალიზაციის მოდელების დამუშავება;
- მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით საქართველოს როლისა და ადგილის განსაზღვრა გლობალიზაციის პირობებში;
- წვლილის შეტანა ქართული ეკონომიკური სკოლის ფორმირებაში.

ძირითადი მიზანი მიიღწევა შემდეგ ამოცანათა გადაჭრით:

- დოქტორანტების მიერ მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდების და ხერხების დაუფლება;
- დოქტორანტებისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების განხორციელების შესაძლებლობების გაღრმავება და სამეცნიერო-ანალიტიკური უნარის განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება;
- პედაგოგიური მუშაობის თეორიული ასპექტების გაცნობა და სწავლების პრაქტიკული გამოცდილების დაგროვება;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და პრობლემების დამლევის შესაძლებლობების განვითარება;

- სამეცნიერო გამოცემებთან მეცნიერული კონტაქტების დამყარების, სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში და ა.შ. მონაწილეობის უნარის განვითარება;
- პრეზენტაციის და კომუნიკაციის ხელოვნების დახვეწა და სრულყოფა;

აღნიშნული ამოცანების გადაჭრის შედეგად დოქტორანტებისათვის სწავლის შედეგებად მოიაზრება:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

- ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა ეკონომიკაში, რომელიც დარგობრივ სფეროში რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა;
- ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული შეფასება და პროგნოზირება, საჯარო წარმოდგენა, მათი

მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით;

- ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესში მაკროეკონომიკური სტაბილურობის

მისაღწევად აუცილებელი გარემო პირობების განსაზღვრა;

- სხვადასხვა თეორიებისა და ეკონომიკური მიმდინარეობების მიხედვით არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- დამოუკიდებელი დაგეგმვა და მონაწილეობა მაკროეკონომიკურ (რეგიონული განვითარების) პროგრამებში და პროექტებში, ფირმის სტრატეგიის შემუშავებაში;
- ბიზნესების საქმიანობაზე მაკრო, მიკრო და მეზოეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენის განსაზღვრის და შესაბამისი სტრატეგიების შემუშავების უნარი;
- საკუთარ საქმიანობაში მიკრო, მაკრო და მეზოდონეზე კვლევის ახლებური მეთოდების და მიდგომების გამოყენების უნარი, რაც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რესურსების, არქივების და სხვა ინფორმაციული წყაროების გამოვლენისა და შეფასების უნარი;

გ) დასკვნის უნარი

- საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებისა და ეკონომიკური ტენდენციების კრიტიკული ანალიზი, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი, დასკვნის განზოგადება;

- ეკონომიკის კვლევის მაკრო და რეგიონულ დონეებზე დიფერენცირების, გამოთანაბრების პოლიტიკისა და მართვის ეფექტიანობის ზრდის შესახებ მეცნიერული დასკვნების განზოგადება;

- მიკრო, მაკრო და მეზოდონეზე პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

დ) კომუნიკაციის უნარი

- ეკონომიკაში არსებული ცოდნის ახალ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად, სწორად და გარკვევით წარმოჩენა/მიწოდება;

- კოლეგებთან და მეცნიერთა ფართო წრეებთან, საზოგადოებასთან ეკონომიკურ სფეროში კომუნიკაციის უნარი;

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება სამეცნიერო და ბიზნეს-წრეებთან ურთიერთობისათვის;

- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში უცხოურ ენაზე ჩართვის უნარი, რისი წინაპირობაც არის ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნა სათანადო დონეზე ;

ე) სწავლის უნარი

- ეკონომიკურ დისციპლინათა სისტემური ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლის/საქმიანობის და კვლევის პროცესში;

ვ) ღირებულებები

- ეკონომიკის სფეროში იკვლევს ღირებულებათა დამკვიდრების გზებს და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს;

- საქართველოში ჯერ კიდევ ფორმირებაში მყოფი მაკროეკონომიკური და რეგიონული სკოლების განვითარების ხელშეწყობა, ამ სფეროში საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან სუსტი კონტაქტების გაღრმავებაში წვლილის შეტანა.

- აკადემიური პატიოსნების საყოველთაოდ აღიარებულ ნორმების დაცვა.

დასაქმების სფერო

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხის მქონე პირი მაღალკვალიფიციური მეცნიერ-ეკონომისტია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ცოდნით და უნარ-ჩვევებით.

ეკონომიკის აკადემიურ დოქტორს წარმატებით შეეძლება მუშაობა:

- სახელმწიფო სექტორში;
- ბიზნეს სექტორში;
- ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- სამეწარმეო სექტორში;
- არასამთავრობო სექტორში;
- საფინანსო ინსტიტუტებში;
- კონსალტინგურ ცენტრებში;
- სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;
- სამეცნიერო/სამეცნიერო-პრაქტიკულ გამოცემებში;
- უმაღლეს სასწავლებლებში.

საჯარო სექტორიდან ეკონომიკის აკადემიური დოქტორის დასაქმების სარეკომენდაციო სტრუქტურებად შეიძლება იქნეს განხილული:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (მ.შ. სამინისტროს რეგიონული სტრუქტურები);
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მ.შ. სამინისტროს რეგიონული სტრუქტურები);
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- საქართველოს პარლამენტის აპარატი;
- სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო და მისი უწყებები;
- საქართველოს მთავრობის კანცელარია;
- საქართველოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოები.

პროგრამის კომპონენტები

1. პროგრამის სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი - გულისხმობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას. მასში შედის:

- სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესის ორგანიზებაში - 3 კრედიტი
- ეკონომიკური კვლევის მეთოდების მოდული, რომელიც აერთიანებს საგნებს:
 - პროგნოსტიკა - 4 კრედიტი
 - ეკონომეტრიკა - 5 კრედიტი
- სხვადასხვა დარგობრივი სასწავლო კურსები - 23 კრედიტი
- პედაგოგიური პრაქტიკა - 10 კრედიტი
- სემინარები - 10 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტით განსაზღვრულია აგრეთვე სასემინარო ნაშრომის მომზადება. იგი არის წერითი პროექტი, რომლის მიზანია დოქტორანტის მიერ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის არეალის გაფართოება, ნაშრომის თემის კრიტიკული გააზრების და ინოვაციური მეთოდებით დამუშავების უნარების გამომუშავება. დოქტორანტი ვალდებულია სწავლის მანძილზე 2-ჯერ მოამზადოს სასემინარო ნაშრომი.

- სადოქტორო სემინარების ნაშრომებს დოქტორანტი ამზადებს სამეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებითა და ზედამხედველობით.
- სადოქტორო სემინარების ნაშრომების თემებს დოქტორანტი ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად. თემა უნდა შეირჩეს ისე, რომ არ ემთხვეოდეს დისერტაციის თემას და არ იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.
- სადოქტორო სემინარის ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონეს შუალედური და დასკვნითი შეფასებებით აფასებს სადოქტორო სემინარის ნაშრომების შემფასებელი კომისია, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. კომისიის წევრებად ინიშნებიან დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელები და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრები სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით;
- მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სადოქტორო სემინარის ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების ფორმისათვის არის 21 ქულა, დასკვნითი შეფასების ფორმისათვის - 20 ქულა.

2. პროგრამის კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი. კომპონენტი მოიცავს დისერტაციაზე მუშაობას და შემდეგ აქტივობებს:

- ა) სამეცნიერო კვლევების წარმოებას;
- ბ) კონსულტაციებს სამეცნიერო ხელმძღვანელთან;
- გ) კოლოქვიუმებს;

- კოლოქიუმი ითვალისწინებს სადისერტაციო თემის/მისი ცალკეული ნაწილის გარშემო დოქტორანტის მიერ სათანადო მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას;
 - დოქტორანტურის პროგრამით სწავლება-სწავლა მოიცავს 2 კოლოქიუმს 2 სხვადასხვა სემესტრში, დისერტაციის მომზადების ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად.
 - კოლოქიუმი წარედგინება სამეცნიერო ფორუმს;
- დ) სამეცნიერო სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნებას;
- სამეცნიერო სტატია არის დოქტორანტის მიერ დისერტაციის თემაზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი;
 - სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების მიზანია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია დისერტაციის მასალებისა და კვლევის ძირითადი შედეგების სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვით;
 - დოქტორანტი ამზადებს და აქვეყნებს, სულ ცოტა, 3 სამეცნიერო სტატიას.
- ე) სადისერტაციო ნაშრომის და მისი ავტორიფერატის მომზადებას და გამოქვეყნებას;

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:

	დისციპლინის/აქტივობის დასახელება	კრედიტი
I	საუნივერსიტეტო კურსები და სხვა აქტივობები:	
I.1	სწავლების თანამედროვე მეთოდები	5
I.2	პედაგოგიური პრაქტიკა	10
I.3	სასემინარო ნაშრომი	10
I.4	ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესის ორგანიზებაში	3
I.5	სამეცნიერო წერის საფუძვლები	5
	სულ I	33
II	სავალდებულო პროგრამული დისციპლინები	
II.1	მაკროეკონომიკური პოლიტიკა	6
II.2	ეკონომეტრიკა	5

II.2	პროგნოსტიკა	4
	სულ II	15
III	დისერტაციის თემატიკასთან დაკავშირებული საგნები (3 საგანი)*	12
	სულ I+II+III	60
IV	კვლევითი კომპონენტი	120
IV.1	დისერტაციის მომზადება და დაცვა	120
	სულ IV	120
	სულ სასწავლო პროგრამით (I + II + III+IV)	180

შენიშვნები: * დგინდება თემის შესაბამისად

3. მაგისტრატურის პროგრამები

3.1 მაგისტრატურის პროგრამა ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში

სგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი**

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში**

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

ქუთაისის უნივერსიტეტში 1 კრედიტი არის 25 ასტრონომიული სთ.

პროგრამის მთლიანი მოცულობა არის 120 კრედიტი.

მათ შორის: საფაკულტეტო საგნები 57 კრედიტი, სპეციალობის - 63 კრედიტი

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი. (დასაშვები ხანგრძლივობაა 3 აკადემიური წელი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სპეციალობის საგნის/საგნების და ინგლისური ენის წერილობით გამოცდებში დადებითი (მინიმალური 51 ქულა) შეფასების მიღება.

სპეციალობის საგანში/საგნებში გამოცდის მიზანია, დაადგინოს აქვს თუ არა აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველ პირს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საბაზისო ცოდნა, რაც აუცილებელია სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლისათვის.

ინგლისურ ენაში გამოცდის მიზანია, დაადგინოს ფლობს თუ არა მაგისტრანტი ინგლისურ ენას B2 დონეზე.

ქუთაისის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურაში მიიღებიან ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები.

სფეროს აღწერა

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ აუცილებელი გახადა აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის გარდაქმნა ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბუღალტრული აღრიცხვა ასრულებს პრინციპულად სხვა როლს, აქედან გამომდინარე, ის

უნდა წარმოდგეს ისეთი სისტემით, რომ აკმაყოფილებდეს ბიზნესის გაფართოებულ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მოთხოვნებს.

ბუღალტრული აღრიცხვა არის სამეურნეო საქმიანობაზე დაკვირვების, გაზომვისა და რეგისტრაციის უწყვეტი პროცესი, ამ პროცესებზე რაციონალური ზემოქმედების მიზნით. ის ინფორმაციის შეგროვებისა და მისი ღირებულებით საზომში განზოგადების საშუალებაა. ამდენად, აღრიცხვა ციფრობრივი ენაა, რომელიც ღრმად განაზოგადებს განხორციელებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს.

მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც საინფორმაციო მასალების შემუშავება ელექტრონული, კომპიუტერული სისტემით ხდება, დროული, სწორი და ობიექტური ინფორმაცია საფუძველია ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და მთლიანად საზოგადოებაში განვითარების მაღალი მაჩვენებლების მიღწევისა. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის მთავარი ამოცანაა დროული, ნათელი, სწორი, ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს საბაზრო ურთიერთობის ყველა მონაწილეს, ყველა დაინტერესებულ პირს.

საერთაშორისო ეკონომიკური, სავაჭრო და სხვა სახის ურთიერთობების განვითარებამ და მსოფლიო სისტემის დარგთა სპეციალიზაციამ, კონცენტრაციამ და ინტეგრაციამ საჭიროება წარმოქმნა შექმნილიყო ბუღალტრული აღრიცხვის მსოფლიო სანიმუშო ერთიანი სისტემა, რომელიც თავის მხრივ დაეფუძნებოდა ერთიან უნიფიცირებულ სტანდარტების სისტემას. აღნიშნულმა საჭიროებამ ასახვა ჰპოვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (ბასს), რომელთა შექმნა ჯერ კიდევ 1973 წელს დაიწყო “ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის” (ბასსკ) მიერ. ამჟამად ბასსკ-ის სამართალმემკვიდრე - „ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია“ (ბსფ), ასევე ზრუნავს აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს განვითარებაზე ყველა მის წევრ ქვეყანაში, რომელთა შორის საქართველოც არის.

ფინანსური ანგარიშგების შედგენასთან დაკავშირებით ცალკეულ ქვეყნებში არსებობს საკუთარი თავისებურებებით განპირობებული განსხვავებანი, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს ბასს-ით გათვალისწინებულ სტანდარტებს, მათ ძირითად მიზნებს და ამოცანებს. საქართველო ჯერ კიდევ 1999 წლის 5 თებერვალს მიღებული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტით - საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს აღიარებს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების საფუძველად. თუმცა, ეს რასაკვირველია ვერ იძლევა ქვეყანაში აღრიცხვის სისტემის მოწესრიგებისა და გამართული ფუნქციონირების გარანტიას. ამისათვის საჭიროა სისტემური მუშაობა, უპირველეს ყოვლისა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება, რომელთა ნაკლებობა ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმაოდ საგრძნობია, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის, ისე აუდიტის მიმართულებით.

აუდიტორული საქმიანობა, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის შედარებით ახალი დარგია, ბუღალტრულ აღრიცხვასთან უშუალოდ არის დაკავშირებული. აუდიტორული საქმიანობის

დანერგვა ქვეყანაში დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში და ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. შესაბამისად, ამ მიმართულებით მაღალი აკადემიური განათლების კადრების მომზადება უაღრესად მნიშვნელოვანია.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე მაღალი კვალიფიკაციის კადრები ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში, რომელთაც ექნებათ შესაძლებლობა:

- დამოუკიდებლად გააანალიზონ ფინანსური აღრიცხვის მთლიანი სისტემა და დასახონ კონკრეტული გზები მისი ეფექტურობისა და ოპერატიულობის გაზრდისათვის;
- უზრუნველყონ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია;
- შეიმუშავონ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო სუბიექტში მმართველობითი აღრიცხვის წარმოების სისტემა და ზედამხედველობა გაუწიონ მათ გამოყენებას, ასევე შეაფასონ სისტემის ეფექტურობა და დასახონ ღონისძიებები მისი ამაღლებისათვის;
- სათანადო პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების შემდეგ, წარმატებით გაიარონ აუდიტორთა სასერტიფიკატო გამოცდის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ბუღალტრულ აღრიცხვას, აუდიტს და საგადასახადო საქმეს, რაც თავის მხრივ მისცემთ შესაძლებლობას გარიგების პარტნიორის სტატუსით გასწიონ აუდიტორული მომსახურება;
- შეაფასონ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო სუბიექტის ფინანსური სტაბილურობის ხარისხი თანამედროვე მეცნიერული მეთოდებისა და სპეციალური ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;
- ეფექტურად გამოიყენონ საინფორმაციო სისტემები (ელექტრონული პროგრამები) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისათვის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, აუდიტორული შემოწმების ჩატარებისათვის.

სწავლის შედეგები

პროგრამის ძირითადი მიზნის მიღწევის პროცესში მაგისტრანტებს გამოუმუშავდებათ შემდეგი კომპეტენციები და უნარ-ჩვევები, რაც განსაზღვრავს საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციას:

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მისცემს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების

საშუალებას, გააცნობიერებს ცალკეული სააღრიცხვო პრობლემის არსს და დასახავს მათი გადაჭრის გზებს. კერძოდ, ეცოდინება:

- ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები;
- ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სრულყოფილად წარმოების ყველა ასპექტი, ანალიზისა და აუდიტის ჩატარების ტექნიკა;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- მმართველობითი და საგადასახადო ანგარიშგებების მომზადება საქართველოს კანონმდებლობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად;
- პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები და მათი პრაქტიკაში გამოყენების ასპექტები;
- საინვესტიციო ალტერნატივების შეფასება სარისკო გარემოში;
- კორპორაციის ფინანსური მდგომარეობისა და ტენდენციების ანალიზის თანამედროვე მეთოდები;
- საწარმოების საქმიანობის საბოლოო ფინანსური შედეგების, მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ტექნიკა;
- თანამედროვე ელექტონული პროგრამები, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკური ამოცანების პროგნოზირებისა და რეგულირებისათვის;
- ეკონომიკური მოვლენის მოდელირება მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეეძლება ახალ, გაუთვალისწინებელ და ძნელად პროგნოზირებად ეკონომიკურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რითაც ის შეძლებს:

- მოამზადოს ფინანსური, მმართველობითი და საგადასახადო ანგარიშგება შესაბამისი მოთხოვნების დაცვით;
- დაასაბუთოს მმართველობითი გადაწყვეტილებები სათანადო მეთოდების გამოყენებით და საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილებებზე;
- მოახდინონ კონკრეტული ფინანსური მაჩვენებლების განვითარების პროგნოზირება მაკრო და მიკრო დონეზე;
- მოამზადოს ორგანიზაციის საქმიანობის ცალკეული მიმართულებების ან/და მთლიანად ორგანიზაციის აუდიტის გეგმა და პროგრამა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გარიგების პარტნიორის საერთო კოორდინაციით;
- მოახდინოს საფინანსო-ეკონომიკური რისკების შეფასების საფუძველზე ეკონომიკური აგენტების ქცევის სტრატეგიის დასაბუთება;

- გამოიყენოს თანამედროვე ელექტრონული საშუალებები (პროგრამები) საფინანსო-საადრიცხვო მაჩვენებლების ანალიზისა და შეფასებისათვის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის;
- მოახდინოს სამეცნიერო კვლევის შედეგების გააზრება თანამედროვე მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე;
- გამოიყენოს ლოგიკის კანონები და ხერხები არგუმენტაციის მიზნით სამეცნიერო დისკუსიებსა და ყოველდღიურ ურთიერთობაში;
- არგუმენტირებული არჩევანის გაკეთება რეალურ ცხოვრებაში არსებული სხვადასხვა საინვესტიციო ალტერნატივების შეფასებისას და მათ მომგებიანობასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს რელევანტური და არგუმენტირებული შეფასებები რისკის შემცველი და არაპროგნოზირებადი გარემოს მიუხედავად;
- შეაფასოს კორპორაციაში მიმდინარე პროცესები, ტენდენციები და მოსალოდნელი შედეგები, კორპორაციის ფინანსური მდგრალობა;
- განსაზღვროს წარმოების პროცესის უწყვეტობისათვის საჭირო მარაგების ოპტიმალური რაოდენობა, დებიტორული მოთხოვნების მართვის სტრატეგია და პოლიტიკა, საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების ოპტიმალური სტრუქტურა.
- კაპიტალის კომპონენტების ღირებულებათა შეფასების საფუძველზე, დასახოს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციის კონკრეტული გეგმა.

დასკვნის უნარი

პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მიმდინარე მოვლენების როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე შეფასების და დასკვნების გაკეთების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

პროგრამის წარმატებით გავლა კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბებს ისეთ უნარებს, როგორცაა: კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები წერითი და ზეპირი კომუნიკაციით; საჯარო გამოსვლისა და მეცნიერული მეტყველების უნარი; საქმიანი კომუნიკაციის უნარი; სხვადასხვა სახის საფინანსო-საადრიცხვო დოკუმენტების ელექტრონული ფორმით გაგზავნის, მიღებისა და დამუშავების უნარი და ა.შ.

სწავლის უნარი

პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება: სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის სისტემატიური ზრდის უნარი, პროფესიული სიახლეების ათვისების უნარი და ა.შ.

ღირებულებები

პროგრამის წარმატებით გავლა კურსდამთავრებულს ჩამოყალიბებს პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარს.

დასაქმების სფერო

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს წარმატებით შეეძლება დასაქმება საშუალო და მაღალი (სათანადო პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ) დონის მმართველობით რგოლებში, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში, ბიზნეს ორგანიზაციებში, არასამთავრობო სექტორში, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და ა.შ. კერძოდ:

- ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომპანიების ეკონომიკურ, ფინანსურ და ანალიზის სამსახურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე;
- სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების საფინანსო, საგადასახადო და საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებში;
- აუდიტორულ და ბიზნეს საკონსულტაციო ფირმებში;
- შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში;
- საერთაშორისო და ტრანსნაციონალური კომპანიების საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურებში;
- სხვადასხვა სახის ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო და საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურებში და სხვა.

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი მაგისტრატურის პროგრამის სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა

№	საგნის დასახელება	სულ	I	II	III	IV
		კრ	კრ	კრ	კრ	კრ
I	საფაკულტეტო საგნები					
I.1	სავალდებულო საგნები					
I.1.1	ლიდერობა	5	5			
I.1.2	ფინანსური ოპერაციები ელექტრონული ცხრილებისა და VBA-ს გამოყენებით;	5		5		
I.1.3	ფინანსური მენეჯმენტი 1	5	5			
I.1.4	ფინანსური მენეჯმენტი 2	5		5		
I.1.5	მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად 2	4	4			
I.1.6	ფინანსური აღრიცხვა 2	6	6			
I.1.7	ფინანსური ანალიზი	5		5		
I.1.8	ეკონომეტრიკა	7			7	
I.1.9	სტრატეგიული მენეჯმენტი	5			5	
	სულ სავალდებულო საგნები	47	20	15	12	0

I.2	არჩევითი საგნები					
I.2.1	ბიზნესის ეთიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია	5	5			
I.2.2	გეოპოლიტიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	5	5			
I.2.3	საბირჟო საქმე	5		5		
I.2.4	მარკეტინგის მენეჯმენტი	5		5		
	სულ არჩევითი საგნები	10	5	5	0	0
	სულ საფაკულტეტო საგნები	57	25	20	12	0
II	სპეციალობის მოდული					
II.1	ბუღალტრული ანგარიშგება	5		5		
II.2	მმართველობითი ანალიზი	5		5		
II.3	ფინანსური კონტროლი და აუდიტი	5			5	
II.4	ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები	5			5	
II.5	პროფესიული ეთიკა	3			3	
II.6	შიდა აუდიტი	5	5			
II.7	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები	5			5	
II.8	სასწავლო პრაქტიკა	5				5
II.9	სამაგისტრო ნაშრომი	25				25
	სულ	63	5	10	18	30
სულ სამაგისტრო პროგრამით:		120	30	30	30	30

3.2 მაგისტრატურის პროგრამა საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე**

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში**

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

ქუთაისის უნივერსიტეტში 1 კრედიტი არის 25 ასტრონომიული სთ.

პროგრამის მთლიანი მოცულობა არის 120 კრედიტი.

მათ შორის: საფაკულტეტო საგნები 57 კრედიტი, სპეციალობის - 63 კრედიტი

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი. (დასაშვები ხანგრძლივობაა 3 აკადემიური წელი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სპეციალობის საგნის/საგნების და ინგლისური ენის წერილობით გამოცდებში დადებითი (მინიმალური 51 ქულა) შეფასების მიღება.

სპეციალობის საგანში/საგნებში გამოცდის მიზანია, დაადგინოს აქვს თუ არა აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველ პირს ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის საბაზისო ცოდნა, რაც აუცილებელია სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლისათვის.

ინგლისურ ენაში გამოცდის მიზანია, დაადგინოს ფლობს თუ არა მაგისტრანტი ინგლისურ ენას B2 დონეზე.

ქუთაისის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურაში მიიღებიან ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. პროგრამა ითვალისწინებს ფინანსების თანამედროვე თეორიების პარალელურად გამოყენებითი ფინანსური დისციპლინების შესწავლას. ამგვარად ორგანიზებული სისტემა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულების შემდეგ წარმატებით განაგრძონ პრაქტიკული ან/და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

პროგრამა მიმართულია მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეიარაღებულნი იქნებიან ბიზნესის მართვის თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარებით.

პროგრამის ფარგლებში მაგისტანტები გამოიმუშავენ ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და ანალიზის უნარებს, რომელიც მათ საშუალებას მისცემთ, მათ მიერ შექმნილი საფინანსო მომსახურების პროდუქტები იყოს მაღალკვალიფიციური.

პროგრამის მიზანი და ამოცანა:

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია: ბიზნეს ურთიერთობათა სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე კადრების მომზადება, რომლებიც ფლობენ ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიას, კორპორაციათა ბიზნეს-სტრატეგიების შემუშავებისა და რეალიზაციისათვის საჭირო კვალიფიკაციას, შეუძლიათ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ და/ან აკადემიურ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენება, ფინანსების სფეროში აქტუალური პრობლემების, პრიორიტეტების გამოკვეთა და მათი გადაწყვეტა; ასევე შეუძლიათ, შეაფასონ ბიზნესისა და ფინანსების სფეროში მიმდინარე ლოკალური და გლობალური მაკროეკონომიკური პროცესები, ახსნან მათი გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები.

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი ამოცანებია:

- ფინანსების თანამედროვე კონცეფციების საფუძველზე ინვენსტირებასა და ფინანსირებაზე გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების შესახებ ცოდნის ჩამოყალიბება;
- საქართველოსა და სხვა მზარდ ბაზრებზე ფინანსური კონცეფციების აპრობირებული ცოდნის გამოყენება;
- ფინანსური გადაწყვეტილებების კომპლექსის (ფინანსირების, ინვესტირების, სტრატეგიული მართვის, კონტროლის და ა.შ.) ანალიზის უნარის გამომუშავება;
- ფინანსური სტრატეგიების შემუშავების კომპეტენციების ჩამოყალიბება;
- ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის კომპანიების მართვაში ინოვაციური მიდგომების უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც ორიენტირებულია გლობალიზაციის პირობებში სტრატეგიული მდგრადობის მიღწევაზე.
- ლოკალურ და გლობალურ დონეზე მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური პროცესების ანალიზისა და შეფასების უნარის გამომუშავება;
- ბიზნესის ციკლის მიმდინარე ფაზის ობიექტური შეფასებისათვის საჭირო ცოდნის მიღება;

სწავლის შედეგი

პროგრამის ძირითადი მიზნის მიღწევის პროცესში მაგისტრანტებს გამოუმუშავდებათ კომპეტენციები და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ფინანსური სტრატეგიების შემუშავებისას. პროგრამის კურსდამთავრებული მზად იქნება ლოკალურ და საერთაშორისო კომპანიებში მუშაობისათვის, საფინანსო-კონსალტინგური მომსახურების მწარმოებელი ბიზნეს ოპერატორის დაფუძნებისა და მართვისათვის. ის იოლად ჩაებმება პროფესიული საქმიანობის გარემოში. ამისათვის პროგრამაში მსოფლიო თეორიული გამოცდილების პარალელურად განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გამოყენებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად მაგისტრი შეიძენს ამ სფეროს ღრმა, სისტემურ და უახლეს ინფორმაციაზე დაფუძნებულ ცოდნას, კერძოდ:

- დაეუფლება ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ მრავალმხრივ ცოდნას. შეისწავლის საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური ანგარიშების სრულფასოვან ანალიზს, საწარმოო ოპერაციების და გასაღების, აგრეთვე მარაგების მართვის ოპტიმიზაციის, ბიუჯეტის შედგენის, კაპიტალზე მოთხოვნილების განსაზღვრის, ინვესტიციების მოძიების და ეფექტიანობის შეფასების მეთოდებს;
- საბანკო ბიზნესთან დაკავშირებით დაეუფლება ბანკის აქტივების, პასივების და ლიკვიდურობის მართვის, აგრეთვე აქტიური (მ.შ. საკრედიტო) და პასიური (დეპოზიტური და არადეპოზიტური) ოპერაციების მართვის მეთოდებს, გაეცნობა საბანკო საქმის სახელმწიფო რეგულირების (მ.შ. საქართველოს საბანკო კანონმდებლობის მიხედვით) მნიშვნელოვან მომენტებს;
- გაეცნობა საერთაშორისო ფინანსური ნაკადების, მსოფლიო საფინანსო და სავალუტო ბაზრების მექანიზმს, მის გავლენას ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური მუშაობის სპეციფიკაზე, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ვარიანტებზე;
- დაეუფლება საერთაშორისო ფინანსების სფეროში მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ანალიზისათვის საჭირო ცოდნას. შეძლებს პროცესის განვითარების შესაძლო სცენარებისა და კორპორაციათა ფინანსებზე მათი გავლენის შედეგების შეფასებას;
- ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის გარემოს სამართლებრივი რეგულირების მრავალმხრივი მიმართულებების - საერთაშორისო სავაჭრო, საფინანსო, საბანკო, საინვესტიციო, სადაზღვევო, საბაჟო სისტემის მარეგულირებელი ნორმებისა და კონვენციების შესახებ, რაც აუცილებელია თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირებისათვის, გლობალური ბიზნეს გარემოს ანალიზისა და გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის;

- გაცნობიერებული ექნებათ რა არის რისკი, როგორ მოქმედებს ის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე; გააზრებული ექნებათ რისკების დივერსიფიკაციის მნიშვნელობა, პორტფელური თეორია და სტატისტიკური ანალიზის ინსტრუმენტები; შემოსავლების ალბათობა და სტანდარტული გადახრა, როგორც რისკის საზომი;
- მიღებული ექნება ფართო ცოდნა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. მათ შორის ეცოდინება სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცედურები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიულ პრაქტიკაში, როგორც სტანდარტულ, ისე თვისობრივად ახალ სიტუაციებში - წინასწარ გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში; დაეუფლება კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიების უნარს, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, უახლესი მიდგომების გამოყენების და სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების ანალიზის საფუძველზე.

კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნის გამოყენება შეეძლება მენეჯერის პროფესიულ პრაქტიკაში სხვადასხვა მიმართულებებით. კერძოდ, მიღებული ცოდნა საშულებას მისცემს:

- შექმნას საფინანსო-კონსალტინგური სერვისები და პროდუქტები. გახდეს თვითდასაქმებული ან დამსაქმებელი კონსალტინგური სერვისების წარმოების სფეროში;
- იყოს კონკურენტუნარიანი შესაბამისი სპეციალობის შრომით ბაზარზე;
- შეძლოს მიღებული ცოდნის გამოყენება სადაზღვევო მენეჯერის პროფესიულ პრაქტიკაში, მ.შ. ახალ და წინასწარ გაუთვალისწინებელ გარემოში;
- მოახდინოს ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი და სტაბილური ვალუტის მახასიათებელი ნიშნების იდენტიფიცირება, რაც დაეხმარება სწორად შეარჩიოს ვალუტა, რომელშიც სასურველია დორებით თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსება;
- შეიმუშავოს და გაატაროს მომგებიანი საინვესტიციო პოლიტიკა;
- ააგოს როგორც ჰეჯირების ასევე სპეკულაციების სავალუტო სქემა, რათა დაიცვას ან გაზარდოს კორპორაციული მოგება;
- გამოიყენოს საინვესტიციო პროექტების ანალიზისას თანამედროვე მოდელები და კონცეფციები;
- უზრუნველყოს მოვლენების პრაქტიკული შეფასება და რაციონალური ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება;

- შეძლოს მოკლე და გრძელვადიანი დაფინანსების სტრატეგიების განსაზღვრა; კომპანიის ფინანსური და რეალური აქტივების გაანალიზება, განმარტება და შეფასება; ორგანიზაციის მდგრადობის გაანალიზება რისკების მიმართ; კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაანალიზება და პროგნოზირება;
- შეიმუშავოს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების სტრატეგია და შეძლოს პროცესის წარმართვა შესყიდვის საჭიროებებიდან გამომდინარე.

დასკვნის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი რთული, ხშირად წინააღმდეგობრივი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეეძლება დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, მონაცემთა უწყვეტ ნაკადზე დაყრდნობით კი - ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. ასევე შეეძლება არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსაზრების ჩამოყალიბება, პრობლემის სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსების მოძიება/გამოყენება. ეს მას დაეხმარება პროფესიულ თვითგანვითარებაში;

კომუნიკაციის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება თავისი დასკვნების და არგუმენტაციების დამაჯერებელი გადმოცემა, გამართული კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან; დაეუფლება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენების ხერხებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია მენეჯერის ყოველდღიურ პრაქტიკაში;

სწავლის უნარი

პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული შეძლებს სწავლების და კვლევების დამოუკიდებელ დაგეგმვას და განხორციელებას, თვისობრივად ახალი სიტუაციების სწორ გაანალიზებას და პროექტების დამუშავებას, განახლებადი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული საქმიანობის მუდმივი სინთეზით პროფესიონალური თვისებების უწყვეტ განვითარებას.

ღირებულებები

პროგრამა კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბებს უნარს, კრიტიკულად შეაფასოს როგორც საკუთარი, ისე კოლეგების პროფესიული ღირებულებები (კომპეტენტურობა, პატიოსნება, ობიექტურობა და ა.შ.). ის თვითონაც დააფასებს და თავის წვლილს შეიტანს პოზიტიური

ფასეულობების, მ.შ. საქმიანობის ამ სფეროსათვის მეტად მნიშვნელოვანი ბიზნესის ეთიკის და სოციალური პასუხისმგებლობის ღირებულებათა დამკვიდრებაში.

დასაქმების სფერო

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს წარმატებით შეეძლება დასაქმება საშუალო და მაღალი დონის მმართველობით რგოლებში, როგორც საჯარო მართვის, ისე კერძო სექტორებში, ბიზნესორგანიზაციებში, არასამთავრობო სექტორში, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და ა.შ. კერძოდ:

- თვითდასაქმება საფინანსო კონსალტინგური მომსახურების სფეროში. შესაბამისი პროფილის ბიზნეს სუბიექტის დაფუძნება და მართვა.
- ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებადი კერძო კომპანიების მმართველობითი რგოლები თუ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები;
- სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტები და საკრედიტო დაწესებულებები: საინვესტიციო კომპანიები და ფონდები, კომერციული ბანკები, არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, საფონდო და სავალუტო ბირჟები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები და ა.შ.;
- საერთაშორისო ორგანიზაციების და საკონსულოების, თუ სხვადასხვა დიპლომატიური წარმომადგენლობების საფინანსო მიმართულების სამსახურები/დეპარტამენტები;
- შესაბამისი მიმართულების მქონე საქართველოს სამინისტროები და მათი ტერიტორიული ერთეულები;
- სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციები და საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველობითი ორგანოები და ა.შ.;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.

ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე მაგისტრატურის პროგრამის სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა

№	მოდულის დასახელება	სულ	I	II	III	IV
		კრ	კრ	კრ	კრ	კრ
I	საფაკულტეტო საგნები					
I.1	სავალდებულო საგნები					
I.1.1	ლიდერობა	5	5			
I.1.2	ფინანსური ოპერაციები ელექტრონული ცხრილებისა და VBA-ს გამოყენებით;	5		5		
I.1.3	ფინანსური მენეჯმენტი 1	5	5			
I.1.4	ფინანსური მენეჯმენტი 2	5		5		
I.1.5	მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად 2	4	4			
I.1.6	ფინანსური აღრიცხვა 2	6	6			
I.1.7	ფინანსური ანალიზი	5		5		
I.1.8	ეკონომეტრიკა	7			7	
I.1.9	სტრატეგიული მენეჯმენტი	5			5	
	სულ სავალდებულო საგნები	47	20	15	12	0
I.2	არჩევითი საგნები					
I.2.1	ბიზნესის ეტიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია	5	5			
I.2.2	გეოპოლიტიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	5	5			
I.2.3	საბირჟო საქმე	5		5		
I.2.4	მარკეტინგის მენეჯმენტი	5		5		
	სულ არჩევითი საგნები	10	5	5	0	0
	სულ საფაკულტეტო საგნები	57	25	20	12	0
II	სპეციალობის მოდული					
II.1	საბანკო მენეჯმენტი	5	5			
II.2	საერთაშორისო ფინანსების ზოგადი თეორია	5		5	0	
II.3	სახელმწიფო შესყიდვები	5			5	
II.4	ფინანსური ინჟინერია	6		6		
II.5	საერთაშორისო ბიზნესი	7			7	
II.6	ეკონომიკური და ფინანსური რისკები	5			5	
II.7	სასწავლო პრაქტიკა	5				5
II.8	სამაგისტრო ნაშრომი	25				25
	სულ	63	5	11	17	30
სულ სამაგისტრო პროგრამით:		120	30	31	29	30

4. ბაკალავრიატის პროგრამები

4.1 ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **ბიზნესის ადმინისტრირება**
სწავლების ენა: **ქართული**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

ქუთაისის უნივერსიტეტში 1 კრედიტი = 25 ასტრონომიული სთ.

საბაკალავრო პროგრამის მთლიანი მოცულობა 240 კრედიტი, მათ შორის:

- პროგრამის ზოგადი ნაწილი (საუნივერსიტეტო საგნების მოდული) - 55 კრედიტი, მათ შორის არჩევითი - 10 კრედიტი
- ძირითადი პროგრამა - 125 კრედიტი, მათ შორის არჩევითი მოდულების - 25 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი. (დასაშვები ხანგრძლივობაა 7 აკადემიური წელი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, ნებისმიერი უცხო ენისა და ნებისმიერი მეოთხე არჩევითი საგნის წარმატებით ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

- მოამზადოს ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესების კრიტიკულ გააზრებას და რომელსაც საფუძვლიანად ექნება შესწავლილი ბიზნეს საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები;
- განავითაროს სტუდენტის შესაძლებლობები იფიქროს, წეროს და ისაუბროს ეფექტურად და კრეატიულად;
- განუვითაროს სტუდენტს სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა, რომლებზეც არის დაფუძნებული საზოგადოების ურთიერთობა ინდივიდებთან და პირიქით;
- განუვითაროს სტუდენტს როგორც ანალიტიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების და კომუნიკაციის უნარები, ასევე საკუთარი თავის ნდობა, პასუხისმგებლობა და თვითგანათლების უნარი;
- შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის;

წარმოდგენილი პროგრამის ამოცანაა სწავლებისა და სწავლის პროცესის ისეთი ორგანიზება, რომელიც გაითვალისწინებს და დაეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სტუდენტების მისწრაფებებსა და სურვილებს და ორიენტირებული იქნება ძირითადი პროგრამის (მ.შ. არჩეული მოდულების) შესაბამის შედეგებზე.

სწავლის შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ბიზნესის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების

კრიტიკულ გააზრებას. ასევე აქვს უნარი, მოახდინოს ბიზნესის სფეროს

კომპლექსური საკითხების გაცნობიერება. კერძოდ, კურსდამთავრებული:

- ფლობს ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლებს. გააჩნია ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მათი მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა;
- გააჩნია ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის, გადასახადების, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის საბაზისო ცოდნა და აცნობიერებს მათ ურთიერთზემოქმედებას;
- იცნობს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ, საბანკო-საკრედიტო და სადაზღვევო კატეგორიებს, რითაც შეიქმნის მყარ საფუძველს მომავალი თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის;
- აცნობიერებს მენეჯმენტის გლობალურ როლსა და მიზნებს ორგანიზაციაში;
- ფლობს სათანადო ტერმინოლოგიასა და ბიზნესის სფეროში მუშაობის რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს;
- გააჩნია ცოდნა ორგანიზაციების ნაციონალური და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ;
- ფლობს ცოდნას სოციალური ფსიქოლოგიის საბაზისო ცნებების, ძირითადი პროცესების და საკვანძო საკითხების შესახებ;

- გაცნობიერებული აქვს თანამედროვე პირობებში ბიზნეს სამართლის მნიშვნელობა და იცნობს მის ძირითად საფუძვლებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლიათ ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. კურსდამთავრებულები შეძლებენ:

- სხვადასხვა მოვლენის თუ ფენომენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების გაანალიზებასა და შეფასებას, ურთიერთთანამშრომლობას, საკუთარი პოზიციის შემუშავებას და ა.შ.
- შეისწავლონ ორგანიზაციის ფუნქციები და მასზე მოქმედი ძირითადი კომპონენტების ზეგავლენის ეფექტები, გაიგონ თუ როგორ არიან ისინი ურთიერთდამოკიდებული და როგორ ზემოქმედებენ ერთმანეთზე;
- გაერკვნენ და მიიღონ უშუალო მონაწილეობა საფინანსო-საბანკო ურთიერთობებში.
- აღწერონ ბიზნეს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, თავისებურებები და პერსპექტივები, ურთიერთობა რისკსა და პოტენციურ მოგებას შორის ბაზრებზე შესვლის დროს;
- დასახონ გზები ფირმის მიერ არასასურველი მოვლენების შედეგების განეიტრალებისათვის, კონფლიქტების აღკვეთისათვის;
- მონაწილეობა მიიღონ ბიზნეს გეგმის ფინანსური ნაწილის შედგენასა და რეალიზაციაში;
- გაანალიზონ ბიზნესორგანიზაციის საქმიანობა, მოტივირების თეორიები; ფინანსური გეგმები, ბიუჯეტი, საქმიანობის შედეგები და ა.შ.;
- იმსჯელონ ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების სპეციფიკის, მათთვის დამახასიათებელი გამოვლენის ფორმების, ძირითადი ტენდენციების და სამომავლო პერსპექტივების შესახებ, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;
- კორპორაციათა მოგების გაანგარიშება, კორპორაციათა ურთიერთობის წარმართვა საბიუჯეტო სისტემასთან, ფინანსურ ინსტიტუტებთან და ა.შ. წინასწარ განსაზღვრული წესებისა და მითითებების შესაბამისად;
- ბიზნეს სამართლის ნორმების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; ბიზნეს სამართლის პრობლემატური საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიება;
- დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხების სწორი ინტერპრეტირება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

კურსდამთავრებულს გამომუშავებული ექნება:

- ორგანიზაციაში პროცესების მართვის ძირითადი უნარები: პროცესების იდენტიფიცირება. ეფექტიანობის გაზომვა, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრა და სხვა;
- ძირითადი მარკეტინგული უნარები: მარკეტინგული მონაცემების მოგროვება, ანალიზი, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება და სხვა;
- ძირითადი ფინანსური უნარები: ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და მისი შედეგების წარდგენა, ფინანსური დოკუმენტების მომზადება და ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი, ბიუჯეტის მომზადება და სხვა;
- პროექტების მართვის უნარი: მიზნის ფორმულირება; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა; დროითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა; პასუხისმგებლობის ფარგლებში ამოცანების მართვა; შესაბამისი რესურსების განსაზღვრა და მართვა და სხვა;
- ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების უნარი. გადაწყვეტილების მიღების მიზნების და კრიტერიუმების ფორმულირების უნარი;

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ: ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი სტატისკური და ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; გააჩნიათ თვითანალიზისა და თვითკრიტიკული აზროვნების უნარი და მათ საფუძველზე სათანადო შეფასებებისა და დასკვნების გაკეთების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულებს ჩამოყალიბებული აქვთ **მშობლიურ (ქართულ) და უცხო ენაზე** გამართული კომუნიკაციის უნარი, კერძოდ შეუძლიათ:

- მშობლიურ ენაზე: იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად და წერილობითი ფორმით გადაცემა; შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება; რეფერატული სახის შრომის მომზადება; საქმიანი დოკუმენტების შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;

- ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) კომპლექსური საკითხის/კითხვის ფორმულირება/ ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია; გაიგონ კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი; თავისი სპეციალობის სფეროში საქმიანი დისკუსიის წარმართვა; სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; დამოუკიდებლად და სწრაფად ერთ-ერთ ევროპულ ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება:

პროგრამის კურსდამთავრებული იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება და აღნიშნულ სფეროში უახლესი მიღწევების გაცნობა, დამოუკიდებლად მუშაობა დარგობრივ, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.

ღირებულებები

მონაწილეობს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად; პატივს სცემს მრავალფეროვნებას, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებაში და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა; მონაწილეობს ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას, ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო ჯგუფში, გამომუშავებული აქვს იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს საფინანსო სისტემაში, საბუღალტრო აღრიცხვაში, ადამიანური რესურსების მენეჯმენტსა და მარკეტინგში; აცნობიერებს სამართლებრივი, ეთიკური და კროსკულტურული პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში და საზოგადოებაში.

დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაცია მთელს მსოფლიოში ყველაზე უნივერსალური და პერსპექტიულია კარიერული წინსვლის თვალსაზრისით. ბიზნესი - დიდი თუ მცირე, სახელმწიფო თუ კერძო, ყველა ქვეყნის ეკონომიკის ღერძია, ხოლო სწორი არჩევანი განათლების მიღებისას გზას გაუხსნის კურსდამთავრებულებს წარმატებისკენ ამ სამყაროში. უსასრულოა ჩამონათვალი იმ სფეროებისა, რომლებშიც მათ შეუძლიათ წარმართონ საკუთარი საქმიანობა: ენერგეტიკა, ჯანდაცვა, ფარმაკოლოგია, ტექნოლოგია, სარეკლამო საქმე, ფინანსები და სხვა მრავალი. ბიზნესის რომელი ასპექტიც არ უნდა აინტერესებდეთ, უთუოდ შეძლებენ იპოვონ სამუშაო, რომელიც მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენის საშუალებას მისცემთ. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი დაეხმარებათ დაიკავონ პოზიციები ნებისმიერი საწარმოს მართვის ქვედა და საშუალო დონეებზე საჯარო თუ კერძო სექტორებში; ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში და ა.შ. მათ შორის: კომპანიის დირექტორატის ოფისებში, ოპერაციულ მენეჯმენტში, მარკეტინგსა და გაყიდვებში, კადრების მართვაში, ფინანსებში, ბუღალტერიაში, ადმინისტრაციაში, მართვის საინფორმაციო სისტემებსა და ბიზნესის სხვა ფუნქციონალურ სფეროებში.

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის პროგრამის სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა

№	საგნის დასახელება	სულ	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
		კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ
I ზოგადი განათლების საგნები										
I.1	სავალდებულო საგნები									
I.1.1	აკადემიური წერის საფუძვლები	5		5						
I.1.2	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1/	7	7							
	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1(ინტენსიური)*	12	12							
I.1.3	უცხო ენა 1 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	5	5							
I.1.4	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	8		8						
I.1.5	უცხო ენა 2 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	5		5						
I.1.6	ინფორმაციის დამუშავება თანამედროვე ოფისში	5	5							
I.1.7	უცხო ენა 3 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	5			5					
I.1.8	უცხო ენა 4 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	5				5				
	სულ სავალდებულო საგნები	45	17	18	5	5	0	0	0	0
I.2	არჩევითი საგნები									
I.2.1	დემოკრატია და მოქალაქეობა	5		5						
I.2.2	საქართველოს ისტორია	5	5							
I.2.3	ფილოსოფიის შესავალი	5		5						
I.2.4	რელიგიის ისტორია	5	5							
	სულ არჩევითი საგნები	10	5	5	0	0	0	0	0	0
	სულ ზოგადი განათლების საგნები	55	22	23	5	5	0	0	0	0
II ძირითადი სპეციალობის საგნები										
II.1	სავალდებულო საგნები									
II.1.1	სოციალური ფსიქოლოგია	5	5							
II.1.2	შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში	6		6						
II.1.3	ეკონომიკსი 1	4			4					
II.1.4	ეკონომიკსი 2	6				6				
II.1.5	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	4			4					
II.1.6	ფინანსური აღრიცხვა 1	6				6				
II.1.7	მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად 1	5					5			
II.1.8	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	5			5					
II.1.9	კორპორაციათა ფინანსები	5				5				
II.1.10	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში 1	5			5					
II.1.11	მეწარმეობა	5							5	
II.1.12	მენეჯმენტის საფუძვლები	4			4					
II.1.13	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5				5				
II.1.14	პროექტების მართვა	5						5		
II.1.15	მარკეტინგის საფუძვლები	5			5					

II.1.16	ბიზნეს სამართალი	5				5				
II.1.17	ბიზნეს პრაქტიკუმი	5							5	
II.1.18	გადასახადები	5						5		
II.1.19	პროფესიული პრაქტიკა	5								5
II.1.20	საბაკალავრო ნაშრომი	5								5
	სულ ძირითადი სპეციალობის საგნები	100	5	6	27	27	5	10	10	10
	სულ	155	27	29	32	32	5	10	10	10
III	ძირითადი სპეციალობის არჩევითი მოდულები (სტუდენტი ირჩევს ერთ მოდულს)									
III.1	მენეჯმენტი									
III.1.1	ორგანიზაციული ქცევა	5					5			
III.1.2	ინოვაცია და ცვლილებების მართვა	5							5	
III.1.3	ლოჯისტიკის მენეჯმენტი	5						5		
III.1.4	ხარისხის მენეჯმენტი	5								5
III.1.5	კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა	5					5			
	სულ მენეჯმენტის მოდული	25	0	0	0	0	10	5	5	5
	სულ	180	27	29	32	32	15	15	15	15
III.2	ფინანსები									
III.2.1	საბანკო საქმე 1	5					5			
III.2.2	საბანკო საქმე 2	5						5		
III.2.3	სადაზღვევო საქმე	5							5	
III.2.4	კრიპტოვალუტა და ბლოკჩეინის ტექნოლოგია	5					5			
III.2.5	ინვესტიციები და პორთფელის თეორია	5								5
	სულ ფინანსების მოდული	25	0	0	0	0	10	5	5	5
	სულ	180	27	29	32	32	15	15	15	15
III.3	საბუღალტრო აღრიცხვა									
III.3.1	ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო დაწესებულებებში	5					5			
III.3.2	ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში	5					5			
III.3.3	ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები	5						5		
III.3.4	აღრიცხვის ელექტრონული სისტემები	5							5	
III.3.5	აუდიტი	5								5
	სულ საბუღალტრო აღრიცხვის მოდული	25	0	0	0	0	10	5	5	5
	სულ	180	27	29	32	32	15	15	15	15
III.4	მარკეტინგი									
III.4.1	მომხმარებელთა ქცევა	5					5			
III.4.2	მარკეტინგული კომუნიკაციები	5					5			
III.4.3	მარკეტინგული კვლევის საფუძვლები	5						5		
III.4.4	გაყიდვების ორგანიზაცია	5							5	
III.4.5	ციფრული მარკეტინგი	5								5

სულ მარკეტინგის მოდული	25	0	0	0	0	10	5	5	5
სულ	180	27	29	32	32	15	15	15	15

IV.	თავისუფალი კრედიტები 60 კრედიტი								
IV.1	ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია	5						5	
IV.2	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	5				5			
IV.3	საქართველოს ეკონომიკა	4					4		
IV.4	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	5				5			
IV.5	საჯარო ფინანსები	5				5			
IV.6	სექტორული ეკონომიკა	5							5
IV.7	ეკოლოგია და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა	5						5	
IV.8	მსოფლიო ეკონომიკა	7					7		
IV.9	ფასიანი ქაღალდების ბაზარი	5						5	
IV.10	ეკონომეტრიკის საფუძვლები	5							5
IV.11	დემოგრაფიის საფუძვლები	5							5
IV.12	რეგიონული ეკონომიკის საფუძვლები	4					4		
IV.13	ტუროპერეტივინგი	5				5			
IV.14	შესავალი სასტუმროსა და ტურიზმის ინდუსტრიაში	5				5			
IV.15	ექსკურსიათმცოდნეობა	4					4		
IV.16	სასტუმრო და საკურორტო ტურიზმის მენეჯმენტი	5							5
IV.17	საზოგადოებრივი კვების მენეჯმენტი	6					6		
IV.18	ტურიზმის ინდუსტრიის მარკეტინგი	5							5
IV.19	მგზავრთა ტრანსპორტირების მენეჯმენტი	5						5	
IV.20	დანაშინულების ადგილის მენეჯმენტი	5							5
IV.21	სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	5						5	
IV.22	TOEFL- 1	5				5			
IV.23	TOEFL- 2	5					5		
IV.24	ინფორმაციული მენეჯმენტის საფუძვლები	5						5	
	სულ	120	0	0	0	0	30	30	30
		60					15	15	15

შენიშვნა: სტუდენტი, რომელსაც მისაღებ გამოცდაზე მეოთხე არჩევით საგნად არ ჩაუბარებია მათემატიკა, ან მისი შეფასება არ აღემატება 20 ქულას, პირველ სემესტრში არჩევითი საგნის ნაცვლად აიღებს **საგანს - მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1 (ინტენსიური) - ს.**

4.2 ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა კონომიკა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **ეკონომიკა**

სწავლების ენა: **ქართული**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **ეკონომიკის ბაკალავრი**

საბაკალავრო პროგრამის მთლიანი მოცულობაა მინიმუმ 240 კრედიტი, მათ შორის:

- პროგრამის ზოგადი ნაწილი (საუნივერსიტეტო საგნების მოდული) - 60 კრედიტი, მათ შორის თავისუფალი კრედიტი - 10
- ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი. (დასაშვები ხანგრძლივობაა 7 აკადემიური წელი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენისა და ნებისმიერი მეოთხე არჩევითი საგნის წარმატებით ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ეკონომიკა არის მეცნიერება სიმდიდრის წარმოების, განაწილების და მოხმარების შესახებ. პროგრამის მიზანია მიაწოდოს სტუდენტებს მყარი ცოდნა კომერციული და ორგანიზაციული საქმიანობის მრავალი ასპექტის შესახებ, აჩვენოს როგორ იღებენ ბიზნეს-ერთეულები გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ რა აწარმოონ, როგორ აწარმოონ და ვისთვის აწარმოონ, ასევე აჩვენოს თუ როგორ მოქმედებს ისეთი მაკროეკონომიკური ფენომენები, როგორებიცაა ინფლაცია, უმუშევრობა, საპროცენტო განაკვეთი მომხმარებელთა და ბიზნეს-ერთეულების ქცევასა და გადაწყვეტილებებზე. სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა უნდა შეექმნათ ეკონომიკაში არსებულ ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე, როგორიცაა საბაზრო სისტემის

ფუნქციონირების მექანიზმები, რესურსების განაწილების მექანიზმები, კერძო და სახელმწიფო სექტორები ეკონომიკაში, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციები და ა.შ. პროგრამის კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ ეკონომიკური თეორიების ანალიზი, შეძლონ გაანალიზონ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები, პრიორიტეტები, ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საფინანსო-საბიუჯეტო და მონეტარული პოლიტიკა.

სწავლის შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ეკონომიკის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აქვს სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი. პროგრამის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში ბაკალავრებს ექნებათ ეკონომიკურ მიმართულების ძირითად დისციპლინათა თეორიული ცოდნა, ჩამოუყალიბდებათ ეკონომიკური ანალიზის უნარ-ჩვევები. ისინი შეძლებენ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ისტორიულ რაკურსში განხილვას, საქართველოს ეკონომიკის ღრმად შესწავლას, საჯარო ფინანსებისა და სექტორული ეკონომიკის ძირითადი პრობლემატიკის განზოგადებას, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების აღქმას, რესურსული პოტენციალისა და მისი რაციონალური გამოყენების მჭიდროდ დაკავშირებას ეკონომიკურ ზრდასთან, ეკონომიკურ პროცესთა გაზომვადობის და სიტუაციური მოდელირების ელემენტების სრულყოფას. ექნებათ თეორიული ცოდნა ფინანსური ბაზრების, ინსტრუმენტების და ინსტიტუტების შესახებ. ეცოდინებათ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, ეკონომიკური აზრის განვითარების თეორიული ასპექტები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლიათ ეკონომიკის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ:

- უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორიები, მოვლენები და პროცესები განიხილონ ისტორიულ რაკურსში, რითაც შეიქმნიან საფუძველს მომავალი თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის;
- სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ გარემოსთან ადაპტირებას;
- განაზოგადონ მიკრო და მაკროეკონომიკის, საჯარო ფინანსების, დემოგრაფიის, სექტორული და რეგიონული ეკონომიკის ძირითადი პრობლემატიკა;
- მოახდინონ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განზოგადებული ანალიზი;
- აღიქვან და სათანადოდ შეაფასონ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები;
- მოახდინონ ეკონომიკურ პროცესთა და სიტუაციათა მარტივი მოდელირება და შესაბამისი დასკვნების წარმოდგენა;
- სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებასა და დასკვნების გამოტანას.
- შეიქმნან სისტემური წარმოდგენა საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურებზე და განვითარების ტენდენციებზე.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია ეკონომიკური მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, ასევე ახალი ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, გააჩნია თვითანალიზის უნარი. მას აგრეთვე შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტიკა, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღების პრიციპების დასაბუთება და დაცვა.

კომუნიკაციის უნარი

მშობლიურ ენაზე

კურსდამთავრებულს შეუძლია: იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა; შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება; რეფერატული სახის შრომის მომზადება; საქმიანი დოკუმენტის შედგენა ეკონომიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით;

უცხო ენაზე

კურსდამთავრებულს შეუძლია: ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) კომპლექსური საკითხის/კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად (წარდგენა/პრეზენტაცია); გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი; საქმიანი დისკუსიის წარმართვა; სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. ამასთან, შესაძლოა უჭირდეს იშვიათად გამოყენებადი იდიომების გაგება.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. ასევე შეუძლია დამოუკიდებლად,

ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა, დამოუკიდებლად იმუშაოს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.

ღირებულებები

მონაწილეობს ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად: პატივს სცემს მრავალფეროვნებას, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებაში და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა; მონაწილეობს ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას, ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო/პროფესიულ ჯგუფში; აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კროსკულტურულ პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში და საზოგადოებაში; გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს ეთიკის მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს.

დასაქმების სფეროები

ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებმა შეიძლება დაიკავონ პოზიციები მართვის ქვედა და საშუალო დონეებზე, ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომპანიებში, კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალურ საწარმოებში, არაკომერციულ ორგანიზაციებში, გაერთიანებებში, რომლებსაც ესაჭიროებათ პროფესიული ცოდნა ეკონომიკის სფეროში. აგრეთვე ბანკებში, ბირჟებზე, საბაჟოებზე, საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, საინვესტიციო ფონდებში, საგადასახადო ორგანოებში, სხვადასხვა საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურებში.

ეკონომიკის ბაკალავრიატის პროგრამის სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა

№	საგნის დასახელება	სულ	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
		კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ
I	საუნივერსიტეტო საგნები									
I.1	სავალდებულო საგნები									
I.1.1	აკადემიური წერის საფუძვლები	5	5							
I.1.2	საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	5							
I.1.3	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1	7	7							
	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1 (ინტენსიური)*	12	12							
I.1.4	უცხო ენა 1	5	5							
I.1.5	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	8		8						
I.1.6	უცხო ენა 2	5		5						
I.1.7	ინფორმაციის დამუშავება თანამედროვე ოფისში	5		5						
I.1.8	უცხო ენა 3	5			5					
I.1.9	უცხო ენა 4	5				5				
	სულ სავალდებულო საგნები	50	22	18	5	5	0	0	0	0
I.2	არჩევითი საგნები	-	-	-	-	-	-	-	-	-
I.2.1	დემოკრატია და მოქალაქეობა	5		5						
I.2.2	საქართველოს ისტორია	5	5							
I.2.3	საქართველოს ეთნოლოგია	5		5						
I.2.4	რელიგიის ისტორია	5	5							
		0								
	სულ არჩევითი საგნები	10	5	5	0	0	0	0	0	0
	სულ საუნივერსიტეტო საგნები	60	27	23	5	5	0	0	0	0
II	პირითადი სპეციალობის საგნები									
II.1	სავალდებულო საგნები									
II.1.1	სოციალური ფსიქოლოგია	5	5							
II.1.2	შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში	6		6						
II.1.3	ეკონომიკსი 1	4			4					
II.1.4	ეკონომიკსი 2	6				6				
II.1.5	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	4			4					
II.1.6	ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია	5					5			
II.1.7	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	5				5				
II.1.8	საქართველოს ეკონომიკა	4					4			

II.1.9	ფულის მიმოქცევა და კრედიტი	6			6					
II.1.10	ფინანსები	5			5					
II.1.11	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში 1	5		5						
II.1.12	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში 2	5			5					
II.1.13	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	5					5			
II.1.14	საჯარო ფინანსები	5					5			
II.1.15	სექტორული ეკონომიკა	5							5	
II.1.16	სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი	4				4				
II.1.17	ეკოლოგია და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა	5				5				
II.1.18	მსოფლიო ეკონომიკა	7						7		
II.1.19	ფასიანი ქაღალდების ბაზარი	5						5		
II.1.20	ეკონომეტრიკის საფუძვლები	5					5			
II.1.21	დემოგრაფიის საფუძვლები	5				5				
II.1.22	რეგიონული ეკონომიკის საფუძვლები	4				4				
II.1.23	პროფესიული პრაქტიკა	5							5	
II.1.24	საბაკალავრო ნაშრომი	5							5	
	სულ სავალდებულო საგნები	120	5	6	19	21	27	15	12	15
	სულ	180	32	29	24	26	27	15	12	15

III.	თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი								
III.1	ფინანსური აღრიცხვა 1	6			6				
III.2	მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად 1	5				5			
III.3	მეწარმეობა	5				5	0	0	
III.4	შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში	6	0	6					
III.5	მენეჯმენტის საფუძვლები	4		4					
III.6	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5			5				
III.7	პროექტების მართვა	5					5		
III.8	მარკეტინგის საფუძვლები	5		0	5				
III.9	ბიზნეს სამართალი	5			0		5		
III.10	ინოვაცია და ცვლილებების მართვა	5						5	
III.11	გადასახადები	5					5	0	
III.12	სადაზღვევო საქმე	5						5	
III.13	მარკეტინგული კომუნიკაციები	5				5			
III.14	შესავალი სტუმართმასპინძლობის და ტურიზმის ინდუსტრიაში	5				5			
III.15	ტუროპერეტივიტი	5				0	0	5	
III.16	სასტუმრო და საკურორტო ტურიზმის მენეჯმენტი	5					5		0
III.17	საზოგადოებრივი კვების მენეჯმენტი	6					6		

III.18	ტურიზმის ინდუსტრიის მარკეტინგი	5								5
III.19	მგზავრთა ტრანსპორტირების მენეჯმენტი	5							5	
III.20	დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი	5								5
III.21	სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	5							5	
III.22	TOEFL- 1	5					5			
III.23	TOEFL- 2	5						5		
III.24	ინფორმაციული მენეჯმენტის საფუძვლები	5							5	
	სულ	122	0	0	10	16	25	31	30	10
		61	0	0	5	8	13	16	15	5

შენიშვნა: სტუდენტი, რომელსაც მისაღებ გამოცდაზე მეოთხე არჩევით საგნად არ ჩაუბარებია მათემატიკა, ან მისი შეფასება არ აღემატება 20 ქულას დამატებით კრედიტად პირველ სემესტრში არჩევითი საგნის ნაცვლად აიღებს **მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1 (ინტენსიური)** - ს.

4.3 ბაკალავრიატის პროგრამა ტურიზმის მენეჯმენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ტურიზმის მენეჯმენტი

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

პროგრამის მოცულობა

საბაკალავრო პროგრამის მთლიანი მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი საკრედიტო სისტემის შესაბამისად, მათ შორის:

- ზოგადი საუნივერსიტეტო განათლება - 66 კრედიტი
- ძირითადი პროგრამა - 114 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი. (დასაშვები ხანგრძლივობაა 7 აკადემიური წელი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სამი სავალდებულო და ნებისმიერი მეოთხე არჩევითი საგნის ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება. ნებისმიერი მსურველი, რომელიც დააკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს დაშვებული იქნება პროგრამაზე რასის, მრწამსის, ოჯახური მდგომარეობის, ნაციონალური თუ ეთნიკური წარმომავლობის, ფიზიკური მდგომარეობის, აღმსარებლობის თუ სქესის მიუხედავად.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

- განავითაროს სტუდენტის შესაძლებლობები იფიქროს, წეროს და ისაუბროს ეფექტურად და კრეატიულად;
- განუვითაროს სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა, რომლებზეც არის დაფუძნებული საზოგადოების ურთიერთობა ინდივიდებთან და პირიქით;
- განუვითაროს სტუდენტს როგორც ანალიტიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების და კომუნიკაციის უნარები, ასევე საკუთარი თავის ნდობა, პასუხისმგებლობა და თვითგანათლების უნარი;
- შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის;
- მოამზადოს ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესების კრიტიკულ გააზრებას და რომელსაც საფუძვლიანად ექნება შესწავლილი ტურისტული ბიზნესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ექნება პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები;

სწავლის შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულებს ექნებათ ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ზოგადი მენეჯმენტის სფეროში ტურიზმთან მიმართებაში:

- სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების დაგეგმვისა და მენეჯმენტის საფუძვლები
- დანიშნულების ადგილის განვითარების მეთოდები
- მგზავრთა ტრანსპორტირების თავისებურებები
- ექსკურსიების დაგეგმვა და ორგანიზება
- სპეციალური ღონისძიებების დაგეგმვა და დეტალური ბიზნეს-გეგმის შემუშავება
- მარკეტინგული და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით ტურიზმის ბიზნესში მნიშვნელოვანი პროცესებისა და პრობლემების კვალიფიციური ანალიზის მეთოდების ფლობა
- ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ტენდენციებისა და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებების ცოდნა;
- ტურიზმის ბიზნესში მენეჯერის პროფესიული ფუნქციების შესასრულებლად სათანადო ტექნოლოგიების ფლობა

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები:

- სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის სტანდარტებზე დაყრდნობით გამომამყვანებენ ღრმა კომპეტენციას კვლევისას და მონაცემთა ანალიზის დროს;
- შეძლებენ ტურისტული და საკურორტო ობიექტების საინვესტიციო პროექტების დამუშავებას;
- შეიმუშავებენ ტურისტული და სამკურნალო-პროფილაქტიკური საწარმოების განვითარების კონცეფციას;
- შეძლებენ ტურისტული და სამკურნალო-პროფილაქტიკური საწარმოებისათვის ფინანსური და ბუღალტრული მომსახურების გაწევას;
- გაიგებენ და აღიქვამენ ტურიზმის ინდუსტრიაში გარემოს დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობებს;

- გარჩევენ და შეაფასებენ არჩევანს ნდობის, ურთიერთპატივისცემისა და პატიოსნების ღირებულებებზე დაყრდნობით;
- დაეუფლებიან ჯგუფურ მუშაობას, ხელმძღვანელობისა და მართვის უნარ-ჩვევებს;

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გამოიყენონ შესაფერისი გამოკითხვა-გამოკვლევის მეთოდები და საკუთარი მსჯელობა კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად. ისინი ანვითარებენ თავიანთ უნარს გადაამოწმონ, შეაფასონ, გამოიკვლიონ საკითხი და პრობლემების გადაჭრის ფართო სპექტრში ისეთი ცოდნა ჩადონ, რომელიც შესატყვისი იქნება საკვლევი სფეროსათვის.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულებს ესმით კომუნიკაცია, როგორც პროცესი, და შეუძლიათ გააკრიტიკონ ინფორმაცია ან ვინმეს აზრი; გააკეთონ თავიანთი კომპეტენციის დემონსტრირება წერილობით, კომპიუტერის გამოყენებით, სიტყვიერად და ჯგუფური დისკუსიით; ჩასწვდნენ თავიანთ ფუნქციებს, მასმედიის გავლენას და საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

მშობლიურ ენაზე

შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია რეფერატული სახის შრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;

ინგლისურ ენაზე

შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტების შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, შეუძლია დამოუკიდებლად სხვადასხვა ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა, დამოუკიდებლად იმუშავოს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.

ღირებულებები

კურსდამთავრებულებს ესმით, რომ ბევრი სისტემის ურთიერთქმედება აერთიანებს გლობალურ საზოგადოებას, და ის, რომ ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამეცნიერო, ბუნებრივი და კულტურული სისტემები სცილდება ნაციონალურ და დისციპლინარულ საზღვრებს.

სტუდენტები ჩართული არიან მრავალფეროვან ინდივიდუალურ, სოციალურ და ესტეტიკურ ღირებულებათა სისტემებში და ანვითარებენ მოწიწებას ამ ღირებულებებათა და არჩევნების განსახვავებულობის მიმართ. ისინი ანვითარებენ და ხვეწავენ გაცნობიერებულ ფასეულობათა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს მათი ქცევის მიმართულებას.

კურსდამთავრებულებს შესწავლილი აქვთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით თანამედროვე და ისტორიულ კულტურათა ღირებულებები და ცხოვრების წესები, რაც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც საშუალება ცხოვრების მიმართ განსხვავებული მიდგომების გაგებისა.

დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ტურიზმში კურსდამთავრებულებს დაეხმარებათ დაიკავონ პოზიციები ნებისმიერი საწარმოს მართვის ქვედა და საშუალო დონეებზე საჯარო თუ კერძო სექტორებში; მათ შორის: ტურისტული კომპანიის დირექტორატის ოფისებში, მარკეტინგსა და გაყიდვებში, კადრების მართვაში, ფინანსებში, ბუღალტერიაში, ადმინისტრაციაში, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში.

ტურიზმის მენეჯმენტის ბაკალავრიატის პროგრამის სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა

№	საგნის დასახელება	სულ	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
		კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ	კრ
I		საუნივერსიტეტო საგნები								
I.1	სავალდებულო საგნები									
I.1.1	აკადემიური წერის საფუძვლები	5	5							
I.1.2	საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	5							
I.1.3	უმალესი მათემატიკა 1	5	5							
I.1.4	ინგლისური ენა 1/3	5	5							
I.1.5	უმალესი მათემატიკა 2	6		6						
I.1.6	ინგლისური ენა 2/4	5		5						
I.1.7	ინფორმაციის დამუშავება თანამედროვე ოფისში	5		5						
I.1.8	ინგლისური ენა 3/5	5			5					
I.1.9	ინგლისური ენა 4/6	5				5				
	სულ სავალდებულო საგნები	46	20	16	5	5	0	0	0	0
I.2	არჩევითი საგნები	-	-	-	-	-	-	-	-	-
I.2.1	დემოკრატია და მოქალაქეობა	5		5						
I.2.2	საქართველოს ისტორია	5	5							
I.2.3	რელიგიის ისტორია	5	5							
I.2.4	ფილოსოფია	5		5						
I.2.5	ფრანგული 1/2/3/4	5	5							
I.2.6	გერმანული 1/2/3/4	5		5						
	სულ არჩევითი საგნები	20	10	10	0	0	0	0	0	0
	სულ საუნივერსიტეტო საგნები	66	30	26	5	5	0	0	0	0
II		ძირითადი სპეციალობის საგნები								
II.1	სავალდებულო საგნები									
II.1.1	სოციალური ფსიქოლოგია	5	5							
II.1.2	შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში	6		6						
II.1.3	ეკონომიკის 1	4			4					
II.1.4	ეკონომიკის 2	6				6				
II.1.5	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	4			4					
II.1.6	ფინანსური აღრიცხვა 1	6				6				
II.1.7	ფინანსები	5				5				
II.1.8	ტუროპერეტიინგი	5							5	
II.1.9	მენეჯმენტის საფუძვლები	4					4			
II.1.10	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5						5		
II.1.11	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში 1	5			5					
II.1.12	მარკეტინგის საბაზისო კურსი	4					4			
II.1.13	ბიზნეს სამართალი	5					5			

II.1.14	შესავალი სასტუმროსა და ტურიზმის ინდუსტრიაში	5			5					
II.1.15	ექსკურსიათმცოდნეობა	4					4			
II.1.16	სასტუმრო და საკურორტო ტურიზმის მენეჯმენტი	5						5		
II.1.17	საზოგადოებრივი კვების მენეჯმენტი	6							6	
II.1.18	ტურიზმის ინდუსტრიის მარკეტინგი	5						5		
II.1.19	მგზავრთა ტრანსპორტირების მენეჯმენტი	5							5	
II.1.20	დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი	5								5
II.1.21	სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	5					5			
II.1.22	სასწავლო საწარმოო პრაქტიკა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში	5								5
II.1.23	საბაკალავრო ნაშრომი	5								5
	სულ სავალდებულო საგნები	114	5	6	18	17	22	15	16	15
II.2	არჩევითი საგნები	-	-	-	-	-	-	-	-	-
II.2.1	ქვეყანათმცოდნეობა	5				5				
II.2.2	გეოპოლიტიკა	5				5				
II.2.3	მსოფლიო კულტურის ისტორია	5			5					
II.2.4	საქართველოს ეთნოლოგია	5			5					
II.2.5	მე-19 საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	5			5					
	სულ არჩევითი საგნები	10	0	0	5	5	0	0	0	0
	სულ ძირითადი სპეციალობის საგნები	124	5	6	23	22	22	15	16	15
	სულ	190	35	32	28	27	22	15	16	15

III.		თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი								
III.1	მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად 1	5					5			
III.2	მეწარმეობა	5			5		0	0	0	
III.3	პროექტების მართვა	5						0	5	
III.4	მარკეტინგის კომპლექსი	6						0	6	
III.5	ბიზნეს პრაქტიკუმი	5							5	
III.6	ინოვაცია და ცვლილებების მართვა	5						5	0	
III.7	გადასახადები	5						5	0	
III.8	სადაზღვევო საქმე	5						5	0	
III.9	მარკეტინგული კომუნიკაციები	5					0			5
III.10	ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია	5			5					
III.11	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	5				0			5	

III.12	საქართველოს ეკონომიკა	4			0	4				
III.13	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	5				5		0		
III.14	საჯარო ფინანსები	5						0	5	
III.15	სექტორული ეკონომიკა	5						5		0
III.16	ეკოლოგია და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა	5							0	5
III.17	მსოფლიო ეკონომიკა	7							0	7
III.18	ფასიანი ქაღალდების ბაზარი	5							5	
III.19	ეკონომეტრიკის საფუძვლები	5						5		
III.20	დემოგრაფიის საფუძვლები	5					5			0
III.21	რეგიონული ეკონომიკის საფუძვლები	4					4			
III.22	TOEFL- 1	5					5			
III.23	TOEFL- 2	5						5		
III.24	ინფორმაციული მენეჯმენტის საფუძვლები	5							5	
	სულ	121	0	0	10	9	19	30	36	17
		60,5	0	0	5	4,5	9,5	15	18	8,5

5. საგანთა წინაპირობების მატრიცა

საგანი	წინაპირობა
აკადემიური წერის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1	წინაპირობის გარეშე
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1(ინტენსიური)*	წინაპირობის გარეშე
ინგლისური ენა 1	წინაპირობის გარეშე
გერმანული ენა 1	წინაპირობის გარეშე
ფრანგული ენა 1	წინაპირობის გარეშე
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1 / მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1(ინტენსიური)*
ინგლისური ენა 2	ინგლისური ენა 1
გერმანული ენა 2	გერმანული ენა 1
ფრანგული ენა 2	ფრანგული ენა 1
ინფორმაციის დამუშავება თანამედროვე ოფისში	წინაპირობის გარეშე
ინგლისური ენა 3	ინგლისური ენა 2
გერმანული ენა 3	გერმანული ენა 2
ფრანგული ენა 3	ფრანგული ენა 2
ინგლისური ენა 4	ინგლისური ენა 3
გერმანული ენა 4	გერმანული ენა 3
ფრანგული ენა 4	ფრანგული ენა 3
დემოკრატია და მოქალაქეობა	წინაპირობის გარეშე
საქართველოს ისტორია	წინაპირობის გარეშე
საქართველოს ეთნოლოგია	წინაპირობის გარეშე
რელიგიის ისტორია	წინაპირობის გარეშე
სოციალური ფსიქოლოგია	წინაპირობის გარეშე
შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში	წინაპირობის გარეშე
ეკონომიკსი 1	შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში
ეკონომიკსი 2	ეკონომიკსი 1
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე
ფინანსური აღრიცხვა 1	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები
მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად 1	ფინანსური აღრიცხვა 1
ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	წინაპირობის გარეშე
კორპორაციათა ფინანსები	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი
სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში 1	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2
მეწარმეობა	წინაპირობის გარეშე
მენეჯმენტის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები
პროექტების მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები
მარკეტინგის საფუძვლები	შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში

ბიზნეს სამართალი	წინაპირობის გარეშე
ბიზნეს პრაქტიკუმი	მარკეტინგის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა 1
გადასახადები	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი
ორგანიზაციული ქცევა	მენეჯმენტის საფუძვლები
ინოვაცია და ცვლილებების მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები
ლოჯისტიკის მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები
ხარისხის მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები
საბანკო საქმე 1	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი
საბანკო საქმე 2	საბანკო საქმე 1
სადაზღვევო საქმე	ეკონომიკის 2, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში 1
კრიპტოვალუტა და ბლოკჩეინის ტექნოლოგიები	წინაპირობის გარეშე
ინვესტიციები და პორტფელის თეორია	ეკონომიკის 2, ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი
ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო დაწესებულებებში	ფინანსური აღრიცხვა 1
ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში	ფინანსური აღრიცხვა 1
ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები	ფინანსური აღრიცხვა 1, მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად 1
აღრიცხვის ელექტრონული სისტემები	ფინანსური აღრიცხვა 1
აუდიტი	ფინანსური აღრიცხვა 1
მომხმარებელთა ქცევა	მარკეტინგის საფუძვლები
მარკეტინგული კომუნიკაციები	მარკეტინგის საფუძვლები
მარკეტინგული კვლევის საფუძვლები	მარკეტინგის საფუძვლები
გაყიდვების ორგანიზება	მარკეტინგის საფუძვლები
ციფრული მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები
ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია	წინაპირობის გარეშე
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	ეკონომიკის 2
საქართველოს ეკონომიკა	ეკონომიკის 1
ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში 1
საჯარო ფინანსები	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი
სექტორული ეკონომიკა	ეკონომიკის 2
ეკოლოგია და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა	წინაპირობის გარეშე
მსოფლიო ეკონომიკა	ეკონომიკის 2
ფასიანი ქაღალდების ბაზარი	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი
ეკონომეტრიკის საფუძვლები	ეკონომიკის 2, მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2
დემოგრაფიის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე
რეგიონული ეკონომიკის საფუძვლები	ეკონომიკის 2

ტუროპერეტიტი	წინაპირობის გარეშე
შესავალი სასტუმროსა და ტურიზმის ინდუსტრიაში	ეკონომიკის 2
ექსკურსიათმცოდნეობა	წინაპირობის გარეშე
სასტუმრო და საკურორტო ტურიზმის მენეჯმენტი	შესავალი სასტუმროსა და ტურიზმის ინდუსტრიაში
საზოგადოებრივი კვების მენეჯმენტი	შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში
ტურიზმის ინდუსტრიის მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები
მგზავრთა ტრანსპორტირების მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე
დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე
სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე
TOEFL- 1	ინგლისური ენა 4
TOEFL- 2	TOEFL- 1
ინფორმაციული მენეჯმენტის საფუძვლები	ინფორმაციის დამუშავება თანამედროვე ოფისში
პროფესიული პრაქტიკა	წინაპირობის გარეშე
საბაკალავრო ნაშრომი	წინაპირობის გარეშე
საზოგადოებრივი გეოგრაფია	წინაპირობის გარეშე
ფინანსები	წინაპირობის გარეშე
ფულის მიმოქცევა და კრედიტი	წინაპირობის გარეშე
სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში 2	წინაპირობის გარეშე
სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი	წინაპირობის გარეშე
ლიდერობა	წინაპირობის გარეშე
ფინანსური ოპერაციები ელექტრონული ცხრილებისა და VBA-ს გამოყენებით	წინაპირობის გარეშე
ფინანსური მენეჯმენტი 1	წინაპირობის გარეშე
ფინანსური მენეჯმენტი 2	ფინანსური მენეჯმენტი 1
მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად 2	წინაპირობის გარეშე
ფინანსური აღრიცხვა 2	წინაპირობის გარეშე
ფინანსური ანალიზი	ფინანსური აღრიცხვა 2
ეკონომეტრიკა	წინაპირობის გარეშე
სტრატეგიული მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე
ეკონომიკური ფსიქოლოგია და ბიზნესის ეთიკა	წინაპირობის გარეშე
გეოპოლიტიკა	წინაპირობის გარეშე
საბირჟო საქმე	წინაპირობის გარეშე
მარკეტინგის მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე
საბანკო მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე
საერთაშორისო ფინანსების ზოგადი თეორია	წინაპირობის გარეშე
სახელმწიფო შესყიდვები	წინაპირობის გარეშე
ფინანსური ინჟინერია	ფინანსური მენეჯმენტი 1
საერთაშორისო ბიზნესი	წინაპირობის გარეშე
ეკონომიკური და ფინანსური რისკები	ფინანსური მენეჯმენტი 1, ფინანსური მენეჯმენტი 2, ფინანსური ინჟინერია
სასწავლო პრაქტიკა	წინაპირობის გარეშე

სამაგისტრო ნაშრომი	წინაპირობის გარეშე
ფინანსური ოპერაციები ელექტრონული ცხრილებისა და VBA-ს გამოყენებით;	წინაპირობის გარეშე
ბუღალტრული ანგარიშგებები	წინაპირობის გარეშე
მმართველობითი ანალიზი	წინაპირობის გარეშე
ფინანსური კონტროლი და აუდიტი	ფინანსური მენეჯმენტი 1
ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები	წინაპირობის გარეშე
პროფესიული ეთიკა	წინაპირობის გარეშე
შიდა აუდიტი	ფინანსური აღრიცხვა 2
აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები	წინაპირობის გარეშე

6. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

6.1 სტუდენტის უფლებები

(ქუთაისის უნივერსიტეტის შინაგანაწესი თავი XXXI)

6.1.1. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ყველა სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი აკადემიური უმაღლესი განათლება „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოთი“ გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების გზით;

ბ) მოსთხოვოს დირექტორს, რექტორს, დეკანს, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

გ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ სამეცნიეროკვლევით საქმიანობაში;

დ) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში;

ე) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს:

ე.ა) ფაკულტეტის საბჭოში,

ე.ბ) უნივერსიტეტის სოციალურ საკითხთა კომისიაში,

ე.გ) სტუდენტთა სადისციპლინო კომისიაში;

ვ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების გაცვლით საგანმანათლებლო და სხვა საერთაშორისო პროგრამებში;

ზ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასებაში ამ შინაგანაწესის პირობებით;

თ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც თავაზობს უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ი) დააარსოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად ამ შინაგანაწესის პირობებით;

კ) სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში მიიღოს უნივერსიტეტისაგან ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ლ) მონაწილეობა მიიღოს თავისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მომზადებაში.

6.1.2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტს უფლება აქვს, მისთვის სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, საზოგადოების ადმინისტრაციულ პერსონალს მოსთხოვოს სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა.

6.1.3. სოციალურად დაუცველ ყველა სტუდენტს თანაბარი უფლება აქვს, ისარგებლოს უნივერსიტეტის მიერ ასეთი კატეგორიისათვის გათვალისწინებული შეღავათებით.

6.1.4. სტუდენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს სწავლა უნივერსიტეტში (შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი) და განაახლოს იგი სწავლის შეწყვეტიდან 5 წლის განმავლობაში ამ შინაგანაწესის XXX თავის პირობებით.

6.1.5. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით, სულ ცოტა, პირველ სემესტრში სწავლის შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების იგივე საფეხურზე უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამით, შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით.

6.1.6. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით, სულ ცოტა, ერთ სრულ აკადემიურ წელს (დროის იმ მონაკვეთების გათვალისწინებლად, რომლებშიც შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი) სწავლის შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს, სასწავლებლად გადავიდეს აკადემიური უმაღლესი განათლების იგივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04.02.2010 №10/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

6.1.7. საზოგადოების ლიკვიდაციის დაწყების, ავტორიზაციის დაკარგვის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეწყვეტის შემთხვევაში, რომელზეც იგი სწავლობდა, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება სტუდენტს აქვს მაშინაც, თუ უნივერსიტეტში მისი სწავლის ხანგრძლივობა ერთ აკადემიურ წელზე ნაკლებია.

6.1.8. სტუდენტს უფლება აქვს, აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის პარალელურად ისწავლოს უნივერსიტეტის ერთი ან რამოდენიმე სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამითაც.

6.2 სტუდენტის ვალდებულებები.

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

(ქუთაისი უნივერსიტეტის შინაგანაწესი თავი XXXII)

6.2.1. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტი ვალდებულია:

ა) ისწავლოს/გაიაროს ყველა ის კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი დაგანმანათლებლო პროგრამით და რომლის სწავლა/გავლა სავალდებულოა ან/და მან თვითონ აირჩია ამ „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოს“ პირობებით;

ბ) დაიცვას საზოგადოების წესდებისა და ამ შინაგანაწესის ნორმები;

გ) შეასრულოს ვალდებულებები, რომლებიც მას ეკისრება დირექტორის, რექტორის ან/და დეკანის ბრძანებებით;

დ) შეასრულოს სწავლება-სწავლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის დროულად გადაიხადოს სწავლის საფასური;

ე) აუნაზღაუროს საზოგადოებას თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი ამ შინაგანაწესით განსაზღვრული წესით.

6.2.2. სტუდენტი ვალდებულია, განუხრელად დაიცვას „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსით“ (შემდგომში - „ეთიკის კოდექსი“) დადგენილი მოთხოვნები ქცევის წესებთან დაკავშირებით.

6.2.3. ეთიკის კოდექსს (მის ცვლილებებს), შინაგანაწესის ამ თავის დებულებათა გათვალისწინებით, ამზადებს რექტორი სტუდენტურ თვითმმართველობასა და ფაკულტეტის საბჭოსთან კონსულტაციებით და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

6.2.4. სტუდენტის ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს სტუდენტის დაუშვებელ ქცევებს და პასუხისმგებლობის ზომებს ასეთი ქცევებისათვის.

6.2.5. ქცევები, რომლისთვისაც სტუდენტის ეთიკის კოდექსით შეიძლება დადგეს სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა, არის:

ა) აკადემიური თაღლითობა - გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან გადასაწერად ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული ისეთი დამხმარე მასალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც არაა ნებადართული;

ბ) პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის სრულად ან ნაწილობრივ გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე, სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება;

გ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით, სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა;

ე) კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება;

ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;

ზ) სხვა პირთან გარიგება იდენტობის გაყალბების საშუალებით გამოცდის ჩაბარების მიზნით;

თ) საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;

ი) სტუდენტის აკადემიური და ადმინისტრაციული საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება ან/და გაყალბებული მონაცემების გამოყენება;

კ) ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით;

ლ) უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების არასრულად წარდგენა;

მ) ხელის შეშლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის;

ნ) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

ო) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული დირექტორის მიერ;

პ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ორგანიზება და/ან მათში მონაწილეობა;

- ჟ) უნივერსიტეტის ქონების დაკარგვა ან/და დაზიანება;
- რ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება;
- ს) ბილწსიტყვაობა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;
- ტ) სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;
- უ) სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;
- ფ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა;
- ღ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების გავრცელება ან/და გამოყენება;
- ყ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა;
- შ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
- ჩ) სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან, თუ სხვა პირი საზოგადოების თანამშრომელი ან უნივერსიტეტის სტუდენტია, უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ;
- ც) სხვა პირის დისკრიმინაცია - პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას ან/და პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული კუთვნილების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე;
- ძ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სხვა პირის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება;
- წ) სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით.

6.2.6. 6.2.5 პუნქტით გათვალისწინებული ქცევებისათვის ეთიკის კოდექსით დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეიძლება განისაზღვროს ერთი ან რამოდენიმე ერთობლივად ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- ა) წერილობითი გაფრთხილება რექტორის მიერ;
- ბ) გამოცდის ან წერილობითი ნაშრომის შეფასების გაუქმება;
- გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წლამდე ვადით;
- დ) უნივერსიტეტის მიერ დანიშნული სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა; ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

6.2.7. გადაწყვეტილება სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე და პასუხისმგებლობის ზომის დადგენაზე მიიღება დისციპლინური წარმოების პროცესში.

6.2.8. დისციპლინური წარმოება იწყება რექტორის შესაბამისი ბრძანებით, რომლის საფუძველიც შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს, სხვა სტუდენტის/მსმენელის შეტყობინება ან საზოგადოების ნებისმიერი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათი სტუდენტის მიერ ქცევის ნორმების დარღვევის თაობაზე.

6.2.9. თუ სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია მისი ერთი ან რამოდენიმე ქმედება, გათვალისწინებული 7.2.5 პუნქტის „ჩ“-„წ“ ქვეპუნქტებით, რექტორი უფლებამოსილია, ამავე ბრძანებით შეუჩეროს მას სტუდენტის სტატუსი (შეუზღუდოს სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება) და აუკრძალოს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნა რექტორის სპეციალური ნებართვის გარეშე დისციპლინური წარმოების დასრულებამდე.

6.2.10. დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს სტუდენტთა სადისციპლინო კომისია.

6.2.11. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიაში შედიან მუდმივი და დროებითი წევრები.

6.2.12. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის მუდმივი წევრებია დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელები და სტუდენტთა 2 წარმომადგენელი. დროებითი წევრია ბაკალავრიატის/მაგისტრატურის იმ პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარე, რომლითაც სწავლობს ბაკალავრი/მაგისტრანტი ან, თუ დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს დოქტორანტის მიმართ - მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი. კომისიის თავმჯდომარეა დეკანი.

6.2.13. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიაში სტუდენტების წარმომადგენელთა არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

6.2.14. თუ დისციპლინური წარმოების ობიექტია კომისიის წევრი სტუდენტი, მისი, როგორც კომისიის წევრის, უფლებამოსილება შეჩერდება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დასრულებამდე.

6.2.15. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის პირველ სხდომას იწვევს რექტორი 6.2.8 პუნქტით განსაზღვრული ბრძანებით. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიამ დისციპლინური წარმოება უნდა დაასრულოს რექტორის ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის ვადაში. თუ დისციპლინური წარმოება ვერ დასრულდება ერთ სხდომაზე, მომდევნო სხდომის გამართვის დროსა და ადგილს განსაზღვრავს თვითონ კომისია მიმდინარე სხდომის დასრულებამდე.

6.2.16. სტუდენტს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება, უფლება აქვს, დაესწროს სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის ყველა სხდომას.

6.2.17. თუ ამას მოითხოვოს სტუდენტი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება, მისი საკითხი სტუდენტთა სადისციპლინო კომისიამ უნდა განიხილოს საჯარო სხდომაზე. საჯარო სხდომის ჩატარების დროსა და ადგილს ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი სხდომის გამართვის დღემდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე. ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ ასლებს გადასცემს დეკანის ოფისსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, რომლებიც დაუყოვნებლივ აქვეყნებენ ამ ასლებს, შესაბამისად, საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6.2.18. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის საჯარო სხდომის გამართვას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს დეკანის ოფისი. პირმა, რომელსაც სურს, დაესწროს კომისიის საჯარო სხდომას, წერილობით უნდა მიმართოს დეკანის ოფისის მენეჯერს სხდომის გამართვის წინა სამუშაო დღემდე.

6.2.19. სტუდენტთა სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია, გამოჰკითხოს საზოგადოების თანამშრომლები და სტუდენტები დისციპლინური წარმოების საკითხთან დაკავშირებით. თანამშრომლები და სტუდენტები ვალდებული არიან, მიაწოდონ კომისიას ობიექტური და უტყუარი ინფორმაცია, აგრეთვე - მათ ხელთ არსებული სხვა მტკიცებულებები, რომლებითაც შეიძლება დადგინდეს განსახილველი შემთხვევის გარემოებები. კომისია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ მოიპოვოს ინფორმაცია, საბუთები და სხვა მტკიცებულებები განსახილველ შემთხვევასთან დაკავშირებით. კომისიის მიერ მიღებული და მოპოვებული მთელი ინფორმაცია კონფიდენციალურია და წარმოადგენს დისციპლინური წარმოების ობიექტის პერსონალურ მონაცემებს. მათი გასაჯაროება დასაშვებია მხოლოდ დისციპლინური წარმოების ობიექტის თანხმობით.

6.2.20. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომის მუშაობაში მონაწილეობს თავმჯდომარე და კომისიის სხვა წევრთა უმრავლესობა. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, სხდომის მუშაობაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრისას სხდომის მუშაობაში მონაწილე ყველა წევრს ერთი ხმა აქვს. სხდომის მუშაობაში მონაწილეს არ აქვს უფლება, უარი თქვას კენჭისყრაში მონაწილეობაზე ან თავი შეიკავოს კენჭისყრისას თავისი პოზიციის დაფიქსირებისაგან. თუ კენჭისყრისას ხმები თანაბრად გაიყოფა, გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6.2.21. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომის შეფარდებაზე მხოლოდ ეთიკის კოდექსის დებულებათა დაცვით.

6.2.22. კომისიის სხდომების ოქმებს აწარმოებს და ინახავს დეკანის ოფისის მენეჯერი, მისი არყოფნისას - დეკანის ოფისის სხვა თანამშრომელი დეკანის დავალებით. ოქმი უნდა შედგეს სხდომის დასრულებისთანავე. ოქმს ხელს აწერს სხდომის მონაწილე კომისიის ყველა წევრი. სხდომის მონაწილე კომისიის წევრს, რომელიც კენჭისყრისას

უმცირესობაში დარჩა, შეუძლია, ოქმს დაურთოს თავისი განსაკუთრებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებიც ოქმის შემადგენელი ნაწილი ხდება. ოქმები ინახება დეკანის ოფისში. დეკანის ოფისის მენეჯერი ოქმის შედგენისთანავე მის დამოწმებულ ასლს წარუდგენს რექტორს.

6.2.23. მის მიმართ დისციპლინური წარმოების პროცესში სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს რექტორის 6.2.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების დამოწმებული ასლი;

ბ) დაესწროს სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის სხდომებს, რომლებზეც განიხილება მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს სტუდენტთა სადისციპლინო კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვა სადისციპლინო კომისიის საჯარო სხდომაზე.

6.2.24. დისციპლინური წარმოების დასრულების შემდეგ რექტორი, სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის შეფარდების ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ. ბრძანების გამოცემისთანავე მის დამოწმებულ ასლს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური გადასცემს დეკანს, რომელიც, თავის მხრივ, მომდევნო სამუშაო დღეს გადასცემს (გააცნობს) მას სტუდენტს. ამ დღიდან 30 დღის განმავლობაში ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

6.2.25. თუ რექტორის ამ თავის 6.2.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად არ შეეფარდა სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, გათვალისწინებული, შესაბამისად, ამ თავის 6.2.6 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რექტორი ამავე ბრძანებით დაუყოვნებლივ აღუდგენს მას სტუდენტის სტატუსს.

6.2.26. თუ სტუდენტის ამ თავის 6.2.5 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებით, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველი გახდა, უნივერსიტეტს მიადგა ფულადი ან მატერიალური ზიანი, სტუდენტი (მისი კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია, ანაზღაუროს ეს ზიანი. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს სტუდენტს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

7. სასწავლო და სალექციო დროის გადანაწილება

თითოეული პროგრამა ხორციელდება რამოდენიმე აკადემიური წლის განმავლობაში.

აკადემიური წელი არის დროის უწყვეტი პერიოდი, რომელიც მოიცავს 12 კალენდარულ თვეს.

აკადემიური წელი შედგება 2 - საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრისაგან და სემესტრებს შორის შესვენების პერიოდების - არდადეგებისაგან. შესვენების პერიოდი საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებს შორის არის ზამთრის არდადეგები, ხოლო შესვენების პერიოდი საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრებს შორის - ზაფხულის არდადეგები.

სემესტრი არის აკადემიური წლის ნაწილი, რომლის დროსაც მიმდინარეობს სწავლება პროგრამით. სემესტრი შედგება სასწავლო და საგამოცდო კვირებისაგან. სასწავლო კვირა შედგება სასწავლო და დასვენების დღეებისაგან.

სასწავლოა დღე, რომელიც მოიცავს ერთ ან რამოდენიმე საკონტაქტო საათს. სასწავლო კვირის სტანდარტული სასწავლო დღეებია შინაგანაწესით განსაზღვრული სტანდარტული სამუშაო დღეები.

საკონტაქტო საათები არის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობა აკადემიური, მასწავლებელთა ან მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომელთა ჩართულობით.

დამოუკიდებელი საათები არის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობა აკადემიური, მასწავლებელთა ან მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომელთა ჩართულობის გარეშე.

საგამოცდო კვირებში მიმდინარეობს სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება.

აკადემიური წელი იწყება კალენდარული წლის სექტემბრის მე-3 ორშაბათს.

საშემოდგომო სემესტრი, გარდა მაგისტრატურის პროგრამებით სწავლება-სწავლის პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრისა, იწყება აკადემიური წლის დაწყებისას - სექტემბრის მე-3 ორშაბათს და მოიცავს 21 კვირას.

მაგისტრატურის პროგრამებით სწავლება-სწავლის პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრი იწყება ამავე აკადემიური წლის 4 ოქტომბრის მომდევნო ორშაბათს და მოიცავს 19 კვირას.

საგაზაფხულო სემესტრი იწყება აკადემიური წლის თებერვლის მე-3 ორშაბათს და მოიცავს 22 კვირას.

აკადემიური წლის დაწყებამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე, რექტორი ამტკიცებს აკადემიურ კალენდარს, რომლითაც განისაზღვრება დამდეგი აკადემიური წლის, მისი სემესტრებისა და არდადეგების, თითოეულ სემესტრში საგამოცდო კვირების დაწყებისა და დამთავრების ზუსტი თარიღები.

უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენს შემადგენელი ნაწილების - კომპონენტების ერთობლიობას.

პროგრამის კომპონენტი შეიძლება იყოს სასწავლო (სასწავლო კურსები, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი) ან სამეცნიერო-კვლევითი (სამაგისტრო ნაშრომი, დისერტაცია).

სასწავლო კომპონენტების - სასწავლო კურსების ნაწილი არის სავალდებულო: მათი სწავლა სავალდებულოა მოცემული პროგრამის ყველა სტუდენტისათვის.

სასწავლო კურსების ნაწილი არჩევითია - სტუდენტი თავისი შეხედულებისამებრ ირჩევს სასწავლად ერთს ან რამოდენიმეს სასწავლო კურსების უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ბლოკიდან.

ბაკალავრიატის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება მხოლოდ სასწავლო კომპონენტებისაგან.

მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა სასწავლო კომპონენტებისა, მოიცავს ერთ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს.

პროგრამის თითოეული კომპონენტი, გარდა დისერტაციისა, ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში.

პროგრამის ყოველი კომპონენტის სწავლება საკონტაქტო საათებში მოიცავს სწავლება-სწავლას ერთი ან რამოდენიმე მეთოდით (ლექცია, პრაქტიკუმი, კონსულტაცია) და სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებას. შეფასების წესი ერთიანია ყველა სტუდენტისათვის, ვინც სწავლობს პროგრამის მოცემულ კომპონენტს.

ყოველი ლექციის/პრაქტიკუმის ხანგრძლივობაა 60 წუთი. ყოველი ლექციის/პრაქტიკუმის შემდეგ არის შესვენება არანაკლებ 10 წუთისა.

სამუშაო დღეებში ლექცია/პრაქტიკუმები ტარდება შემდეგი საათური განრიგით:

N	დაწყება	დამთავრება
1	09:00	10:00

2	10:10	11:10
3	11:20	12:20
4	12:30	13:00
5	14:00	15:00
6	15:10	16:10
7	16:20	17:20
8	17:30	18:30
9	18:40	19:40
10	19:50	20:50

პროგრამის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლა ხორციელდება, როგორც წესი, ჯგუფურად - სტუდენტთა ჯგუფებში (სწავლება ჯგუფური სასწავლო გეგმით). პროგრამის დანარჩენი კომპონენტების სწავლება ხორციელდება ინდივიდუალურად თითოეული სტუდენტისათვის.

პროგრამის ყველა კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე, გარდა სამაგისტრო ნაშრომის და დისერტაციისა, ფასდება იმავე სემესტრში, რომელშიც განხორციელდა მისი სწავლება-სწავლა საკონტაქტო საათებში.

სამაგისტრო ნაშრომითა და დისერტაციით სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეიძლება შეფასდეს მათი დასრულების ან მომდევნო სემესტრში.

8. შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.

შინაგანაწესის მიხედვით სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების უდიდესი შესაძლებელი ქულაა 100 ქულა, აქედან დასკვნით შეფასებაზე მოდის 40 ქულა, შუალედურ შეფასებაზე - 60 ქულა, საიდანაც 30 ქულა არის შუალედური გამოცდით შეფასების უდიდესი შესაძლებელი ქულა, ხოლო დარჩენილი 30 ქულა კი შუალედური შეფასების სხვა კომპონენტების (პერიოდული გამოკითხვების დაინდივიდუალური სამუშაოს) შეფასების უდიდესი შესაძლებელი ქულების ჯამი.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სასწავლო კომპონენტებით სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასებისთვის განისაზღვრება 16 ქულით, ხოლო შუალედური შეფასების ფორმისათვის (შუალედური გამოცდა და შუალედური შეფასების ყველა სხვა კომპონენტები ერთად) – 25 ქულით.

1. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

3. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

4. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

5. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა შეადგენს 60 კრედიტს.

7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი/კომპონენტები ფასდება 1 პუნქტით გათვალისწინებული სისტემით.

8. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება 1 ან 9 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.

9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

10. მე-9 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო მე-9 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

11. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან მე-9 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან მე-9 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

GPA გამოთვლის წესი

GPA	4.0	3.7	3.3	3.0	2.7	2.3	2.2	1.7	1.3	1.0	0.0
ქულა	91% ზე მაღალი	85- 91%	81- 84,9%	75- 80,9%	71- 74,9%	61- 70,9%	51- 60,9%	41- 50,9%	30- 39,9%	20- 29,9%	0,0- 19,9%

GPA ინდივიდუალური კურსისთვის:

GPA- ს მინიჭება ყოველი ინდივიდუალური სასწავლო კურსისათვის ხდება ზემოთმოყვანილი ცხრილის საფუძველზე, მაგალითად თუ სტუდენტმა მიიღო 88 ქულა, მაშინ მისი GPA არის 3.7.

როგორ გამოითვლება კუმულატიური (დაგროვილი) GPA?

სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს სტუდენტის კუმულატიური GPA გამოითვლება ფორმულით:

კუმულატიური GPA = საერთო ქულა ჯამი/ათვისებული კრედიტების ჯამი

საერთო ქულა = ინდივიდუალური GPA X კურსის კრედიტი

მაგალითად, ვთქვათ, აიღეთ ორი 3 კრედიტიანი სასწავლო კურსი და მათში შესაბამისად მიიღეთ 88 ქულა (GPA 3.7) და 78 ქულა (GPA 3.0), მაშინ კუმულატიური GPA ამ ორი კურსისთვის იქნება:

საერთო ქულათა ჯამი = $(3.7 \times 3\text{კრ.}) + (3.0 \times 3\text{კრ.}) = 11.1 + 9.0 = 20.1$

ბოლო კუმულატიური GPA = $20.1 / 6 = 3.33$

საკონტაქტო ინფორმაცია

ქ. ქუთაისი აკ. წერეთლის N13

www.unik.edu.ge

info@unik.edu.ge

ტელ: +995 (431) 24 52 97

დეკანის ოფისი - +995 (431) 24 52 97-122

ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური - 995 (431) 24 52 97 -111